ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132—1307

# საბჭოთა ხელოვნება

1981 9

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ა რ ი ა. (თავზე ხელს უსვამს პატარა ბავშვივით). დაწყნარდი, ლინა, ძვირფასო (უცებ რაღაც გაახსენდება) ლინა, იცი, ლუკა წასვლას აპირებს. გავიქცეთ, იქნებ მატარებელს მივუსწროთ. გარბიან.

ვაგზალი. უკრავს მუსიკა. დგას პირვანდელ ტანსაცმელში ჩაცმული უცნობი ჩემოდნით ხელში. შემოდიან მასწავლებლები: კაცი და ქალი.

ქ ა ლ ი. (მორიდებით მივა უცნობთან) მაპატიეთ, მე თქვენ უნებლიედ შეურაცხყოფა მოგაყენეთ.

კ ა ც ი. ბოდიშს გიხდით, უტაქტო საქციელისთვის, ძალიან ავღელდით.

უ ც ნ ო ბ ი. (გაიცინებს. ჩემოდანს დადგამს, მივა და ხელს გადახვევს ორივეს). თქვენი რეაქცია აბსოლუტურად გამართლებული იყო.

ქ ა ლ ი. მაგრამ ეს ხომ არაა სწორი. გვითხარით, გევედრებით, თქვენ ამას არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებდით.

უ ც ნ ო ბ ი. მე არაფერში დამნაშავე არა ვარ. თქვენ ამას მალე გაიგებთ.

კ ა ც ი. (გახარებული, რომ უცნობმა თავი იმართლა) ასეც ვიცოდი. წარმოუდგენელია, რომ თქვენ სხვაგვარად მოქცეულიყავით.

(პაუზა)

ქ ა ლ ი. თქვენ აუცილებლად უნდა წახვიდეთ.

უ ც ნ ო ბ ი. აუცილებლად.

ქ ა ლ ი. ჩვენ გვინდა მადლობა გითხრათ ყველაფრისათვის, რაც ჩვენთვის გააკეთეთ.

უ ც ნ ო ბ ი. მე არაფერი გამიკეთებია. უბრალოდ ყველანი ერთად ვიყავით და ეს იყო კარგი — ისე კი გავაკეთე, თუ გავაფუჭე რაიმე, ეს ჯერ არავინ იცის. როგორც არ უნდა იყოს, მე თქვენ არასოდეს დამავიწყდებით.

კ ა ც ი. ერთი რამ უნდა გითხრათ, თუ არ გაგეცინებათ.

უ ც ნ ო ბ ი. რატომ უნდა გამეცინოს.

კ ა ც ი. ჩვენ საბოლოოდ გადავწყვიტეთ არდადეგების დადგომისთანავე სამოგზაუროდ წავიდეთ.

ქ ა ლ ი. ამას უკვე წყალი აღარ გაუვა.

უ ც ნ ო ბ ი. ძალიან კარგი იქნება. იქნებ, ლინაც თან წაიყვანოთ.

კ ა ც ი. აუცილებლად წავიყვანთ.

უ ც ნ ო ბ ი. ახლა კი მშვიდობით.
(ხელს ჩამოართმევს ორივეს და მატარებლისკენ მიდის).

ქ ა ლ ი და კ ა ც ი. (ორივენი ერთად) ნახვამდის.

უცნობი გადის, ისმის მატარებლის საყვირის ხმა.

ნელ-ნელა მატარებლის ბორბლების ხმაური წყდება. შემორბიან ლინა და მარია.

ორივენი დგანან ზურგით დარბაზისკენ და მიმავალ მატარებელს გაჰყურებენ. ისმის სიმღერა „ელოდე ვარსკვლავთცვენას“. მუსიკის ხმაზე ყველანი გადიან მერე შემოდის მარტო ლინა, ევირილით ხელში და იმავე სავარძელზე ჯდება, რომელზეც პირვანდელად იჯდა.

სანდრო მრევლიშვილი

# კოლაელ ყრმათა წამება

ტრაგედია X საუკუნის უცნობი ქართველი ავტორის ამავე სახელწოდების ნოველის მიხედვით.

„...სოფელი ესე მეძავ არს და ერთისა
სიყვარულისა თანა არა დაადგრების“.
„ბალავარის სიბრძნე“.

მოქმედი პირნი:

ქრისტიანთმთავარი
მეკერპეთმთავარი
ხუცესი
ბოგანო ბრძენი
ყრმანი მეკერპეთანი
ყრმანი ქრისტიანნი
მშობელნი მეკერპე ყრმათა
ორნი, რომელნიც მიწას ხნავენ

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა დ გ ი ლ ი:

„...სოფელი ერთი დიდი თავსა ზედა მის მდინარისასა, რომელსა ჰრქვიან მტკვარი, ხევსა, რომელსა ჰრქვიან კოლაი, და იყო ერი უმრავლესი სოფლისაი მის წარმართთა კერპთამსახური და უმცროისი ერი ქრისტიანე, ღმრთისამსახური“.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს დ რ ო:

VI საუკუნე ქრისტეს დაბადებიდან.

I

ტრიალი მინდორი. შორიდან სალამურის ხმა ისმის.
ჯერ ხარებშეუბმელ გუთანს ორნი დასტრიალებენ, სამუშაოდ ამზადებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი. გუთანს გავმართავთ, ხარებს შევაბამთ, მიწას მოვხნავთ...

მეორე. მიწაში თესლს ჩავაგდებთ, პურს მოვიყვანთ...

პირველი. მოვიმკით, გავლეწავთ, ბეღელს ავავსებთ...

მეორე. ოჯახს დავაპურებთ, ბალღებს დავზრდით...

პირველი. იმას აღარ ვიტყვით, მიწა ვინ შექმნა, ხვნა-თესვა ვინ გვასწავლა, ან ძეობისთვის თესლი ვინ მოგვცა?

მეორე. ღმერთებმაო...

პირველი. რომელმაო: შენმა ძველმა, თუ ჩემმა — ახალმაო?

მეორე. გინდ ერთმა და გინდა მეორემ. ერთად ვხნავთ და ერთად ვთესავთ, ლოცვას კი სხვადასხვა ღმერთებს ვავედრებთ...

პირველი. ყამირი გავტეხოთ, ყრმათ სარჩო არ მოვაკლოთ და მიწას — ძალა. ღმერთები გვყავდეს ჩვენ — ჩვენი, შენ — კერპი, მე — ქრისტე. ამით არა დაშავდება რა.

მეორე. კერპები და ქრისტე ერთმანეთს მტრობენ.

პირველი. ღმერთების ომში კაცნი ნუ ჩავერევით... თვითონ იციან თავისი საქმე. მორიგდებიან — კარგი და კარგი. თუ არა და — გვამცნობენ, დრო რომლისაა, ვისი ვიწამოთ საბოლოოდ, ვისი სახელით ვხნათ და ვთესოთ, წვიმა ვის ვთხოვოთ, საიდუმლო ვის გავანდოთ და ცოლ-შვილი ვის შევავედროთ.

მეორე. გვაცდიან მაგდენს? ხომ ხედავ, ორად გაიყო კოლაი. ჟამი წახდა და აირია. ადრე სოფელი სოფელს ჰგავდა, ოჯახი — ოჯახს, ნათესავი — ნათესავს. სალოცავად ერთად დავდიოდით, ლხინიც ერთი გვქონდა და ჭირიც. მას შემდეგ, რაც იძალა ახალმა რწმენამ ნაზარეველი ჯვარცმული კერპის, თქვენ რომ ქრისტეს ეძახით, აიჭრა რწმენა, ძმა ძმას გაუდგა, შვილი — მამას, ნათესავი — ნათესავს და ცოლი ქმარს. ზოგმა ჯვარცმას მიაშურა, ზოგი კერპების ერთგული დარჩა...

პირველი. ვისაც რომელი კერპისა სწამს, იმას ეთაყვანოს. მიწას არ ვუღალატოთ, მიწას! მიწაა ჩვენი მთავარი ღმერთი, მიწა გვინახავს, მიწაზე დავდივართ, მიწა გვაჭმევს პურს და მიწამ უნდა მიგვიღოს, რომელი ღმერთისაც არ უნდა გვწამდეს. ვიდრე ერთად ვხნავთ და ვთესავთ, ჩვენს მოდგმას არა გაუჭირდება-რა.

მეორე. ჯერ ერთად ვართ. ხომ ხედავ, ალმა რიგმ წარმართთათვის ხნავს ეს გუთანი, დალმა ქრისტიანთათვის ავლებს კვალს. მეშინია, დაჰკრავს ჟამი, და ქრისტიანების ალმა ხნულს წარმართთ დალმა დაგვაფარცხინებენ. მაშინ რაღა ვქნათ, ვიღამ უპატრონოს მიწას?

პირველი. ეგ მომავლის განსასჯელია. ჩვენ ამ მიწაზე მაგრად დავდგეთ, თვალები კი იმ ღმერთს მივაპყროთ, რომელსაც ნებით იქნება თუ ძალით გვათაყვანებენ. ბაგეთაგან იმის ხოტბა ვთქვათ, ვინც კეთილს ავად არ დაგვიბრუნებს, მიწაში კი ფესვნი ღრმად გავიდგათ. ეგ არის და ეგ. ხარები მოიყვანე, ალიონი დაილია, დროა დავიწყოთ.

## II

მინდორი ქრისტიანთა ბაზილიკის წინ.
„...შეკრბიან ყრმანი ქრისტიანეთანი და წარმართთანი მღერად, ვითარცა არს ჩვეულება ყრმათაი, და იმღერიან დღე ყოველ“.

ყრმანი. მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო!
უყივლია მამალსაო,
მზევ შინ შემოდიო!
გათენებულაო,
მზევ, შინ შემოდიო!
გათენდი თუ გათენდები,
მზევ, შინ შემოდიო!
გათენებულხარო,
მზევ, შინ შემოდიო!
ძილო, რასა მეძინები,
მზევ, შინ შემოდიო!
მე საბრალოსაო,
მზევ, შინ შემოდიო!
ტანს, ფეხს არა არ მაცვია,
მზევ, შინ შემოდიო!
თითისტარო, კვირისტარო,
მზევ, შინ შემოდიო!
ჩქარა დაბრუნდიო,
მზევ, შინ შემოდიო!
მერე პერანგს შევიკერავ,
მზევ, შინ შემოდიო!
სანატრელსა, ფრიალასა,
მზევ, შინ შემოდიო!
ჩქარა დაბრუნდიო!
მზევ, შინ შემოდიო!

მწუხრისას დარეკავენ. ყრმანი სიმღერასა და თამაშს შესწყვეტენ ქრისტიანნი ყოველის მხრიდან მოისწრაფიან სალოცავად ყრმათა გუნდი ორად გაიყოფა. ქრისტიანნი მშობელნი თავიანთ ყრმათ სალოცავად წაიყვანენ. წარმართ ყრმათა გუნდს ხუცესი გადაეღობება.

ხუცესი. თქვენ შვილნი ხართ მეკერპეთანი და არა ჯერს არს შესვლა თქვენი სახლსა ღმრთისასა.

ხუცესიც მიდის სალოცავად. ისმის მწუხრის გალობა. წარმართ ყრმათა გუნდი მდუმარედ უსმენს გალობას.

## III

სატრაპეზო ბაზილიკაში.
მსახურნი წირვისთვის ამზადებენ ქრისტიანთმთავარს. შემოდის ხუცესი.

ქრისტიანთმთავარი. ჩამოჰკრეს ძელს?

ხუცესი. მწუხრისა დაჰკრეს.

ქრისტიანთმთავარი. შეკრბა მრევლი, ერთგული ქრისტეს რჯულისა?

ხუცესი. არ გესწავლება, უწმინდესო, — სოფელი ჩვენი დიდი მდინარის — მტკვრის სათავესთან არის და ჰყოფს შუა მას დიდი ხევი, სახელად კოლაი. უფროისი ამა სოფლისა დევს მარცხენით, და არის ერი იქ მცხოვრები წარმართი და კერპთმსახური. უმცროისი მარჯვენით დევს და არის ერი იქ მცხოვრები ქრისტიანი, ღვთისამსახური.

ქრისტიანთმთავარი. არ მითხოვია, დასაბამიდან დაიწყე მეთქი. მოკლედ მითხარი: შეკრბა მრევლი, დავიწყოთ წირვა?

ხუცესი. ერი ქრისტიანი შეკრბა ლოცვისთვის.

ქრისტიანთმთავარი. ხომ არ დააკლდნენ მორწმუნენი კოლაელ მრევლს?

ხუცესი. არც ვინ დააკლდა და არც ვინ მოემატა.

ქრისტიანთმთავარი. ჟამი არს რთული და შფოთიანი. ქრისტიანობა გზას მიიკვლევს, წარმართობა ჯერ ძლიერია. არს უმჯობესი: მრევლს არც დააკლდეს, არც მოემატოს. თუ დააკლდება, განრისხდება ქრისტიანი მთავრობა იქ, ქართლის ქალაქში და კეისარიც ბიზანტიისა საყვედურს გვეტყვის. მოემატება და, ერი უმრავლესი მეკერპეთანი აგვიჯანყდება აქ, მტკვრის ნაპირზე. ბიზანტიისკენ ვიყურებით და ქრისტიანობას ვჩემულობთ. სპარსეთი გვეძალება და ცეცხლს უნდა ვეთაყვანოთ; ნუ დავემსგავსებით უგუნურ მთესვარს, თესვად გამოსულს. ნუ ჩავაგდებთ რწმენის მარცვალს ეკალთა შორის. აღმოცენდებიან ეკალნი და დათრგუნავენ კეთილ ნაყოფს.

ხუცესი. უფალს სხვაც უთქვამს: „სადაცა იყვნენ ორნი, გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტიანთმთავარი. (მკაცრად) ერთიც უთქვამს და მეორეც. ის ავირჩიოთ, რაც დროსა და ქვეყნის ტრიალს ესადაგება.

ხუცესი. იქ, გარეთ, შვილნი დარჩნენ მეკერპეთანი. ყოველ ცისმარე დღეს იკრიბებიან ყრმანი, ქრისტიანენი და წარმართთანი, და ვითარც არს ჩვეულება ყრმათა, იმღერიან და თამაშობენ. როს დავკრავთ ძელს ჟამსა მწუხრისა, ორად იყოფა ყრმათა გუნდი. ქრისტიანენი ეკლესიისკენ მოდიან სალოცავად და ყოველთა წესთა აღსასრულებლად, ხოლო ყრმანი წარმართთანი რიცხვით ცხრანი, მოსდევენ მათ, რადგან არიან შესულებულნი ქრისტიანებთან და სურთ მათთან ერთად შემოვიდნენ სახლსა ღმრთისასა. ყრმათა წესი ეს არის: ერთად ყოფნა და თამაში სურთ. აღსდგებიან ყოველ ჟამს ქრისტიანენი, იხურება ღმერთის მოსურნე მეკერპე ყრმათ წინაშე კარი ეკლესიისა. იგი ყრმანი ქრისტიანენი, გულკლებულნი და სირცხვილეულნი ლოცვად მოდიან, ხოლო ყრმანი წარმართთანი, აგრეთვე გულკლებულნი და სირცხვილეულნი, გარეთ რჩებიან.

ქრისტიანთმთავარი. ვიმეორებ: ჟამი არს რთული და შფოთიანი. არს უმჯობესი — მრევლს არც დააკლდეს, არც მოემატოს.

ხუცესი. ყრმანი არიან. უთქვამს უფალს: პირითა ჩვილთა ყრმათაი დაამტკიცე ქებაი.

ქრისტიანთმთავარი. თვით უფალი გვანიშნებს, როგორ მოვიქცეთ. გადი მრევლთან და მეც ჩქარა გეახლებით მწუხრის წესთა აღსრულებისთვის.

ხუცესი გადის. ქრისტიანთმთავარი ერთხანს მარტოა,
შემოდის ბოგანო ბრძენი.

## IV

ბოგანო ბრძენი. მიხმე და გეახელ...

ქრისტიანთმთავარი. როგორც ყოველთვის, უდროო დროს....

ბოგანო ბრძენი. უდროობისა არა ჩანს რა... მრევლი ლოცულობს, ნერგი კეთილი ხარობს, ცხოვრება მიდის, ჟამი ტრიალებს.,..

ქრისტიანთმთავარი. რას იტყვი ახალს ორადგაყოფილ ქვეყნის სვე-ბედზე?

ბოგანო ბრძენი. ქრისტიანნი ჭეშმარიტებას ისე ვერ ჰვრეტთ, ლოცვის წესნი თუ ბოლომდე არ აღასრულეთ. მე ჩემებურად ვლოცულობ და ჩემებურად ველიქნები იდუმალ აზრებს. ჩემგან აღმოთქმული სიბრძნე — მიუდგომელი ჭეშმარიტებაა, თავისუფალი ცალკერძ ქრისტიანთ შემპარავი ლაქუცისა და ცალკერძ მეკერპთ მდაბიური სიჯიუტისგან.

ქრისტიანთმთავარი. მრევლი მიცდის...

ბოგანო ბრძენი. მრევლი იმისთვის შეკრებილა, რომ ელოდოს და არ იცოდეს, რას ელოდება: ნეტარ ცხოვრებას, ოცნებათ აშლას, თუ ღმერთების მონობას. თქვენ თვითონ შეარქვით ხალხს „ცხოვარნი“ და მათ საუფლოდ მწყემსებად განაწილდით. ყრმა და მხცოვანიც ერთგულად აგყვნენ ამ უგვანო თამაშობაში....

ქრისტიანთმთავარი. კოლაელ ყრმათა თაობაზე თუ იცი რამე...

ბოგანო ბრძენი. ყრმათა საქმეში მრჩეველად ვერ გამოვდგები... საამისო მიზეზიც მაქვს.

ქრისტიანთმთავარი. აბდა-უბდას კარგად ჰკერავ! საქმისთვის კი უძლური ხარ. მაშ რისთვის გიხდი ამდენ ოქროს და ვერცხლს?

ბოგანო ბრძენი. ბრძნული აზრებისთვის...

ქრისტიანთმთავარი. დავამთავროთ ოინბაზობა. მივდივარ მრევლთან...

ბოგანო ბრძენი. ცოტახანს კიდევ დააგვიანე, მრევლი ვერსად წავა — სხვა სალოცავი აქ არა აქვთ ქრისტიანებს.

ქრისტიანთმთავარი. ხვალიდან დათქმულ გასამრჯელოს აღარ მიიღებ.

ბოგანო ბრძენი. განდიდდი და სიჯიუტე დაგჩემდა. ჩემს რჩევას მაინც არაფრად აგდებ. მეც ვდუმვარ,..

ქრისტიანთმთავარი. დუმილი უძლურების დასტურია, მხოლოდ და ფასი არ ადევს...

ბოგანო ბრძენი. მძლავრობით გინდა, როგორც წესი არს მთავართა, სიმართლე გითხრა. გეტყვი და იმავ სიმართლით მე გამამატყუნებ...,

ქრისტიანთმთავარი. შენ სთქვი, დანარჩენი ჩემი საქმეა.

ბოგანო ბრძენი. გასამრჯელოს ორმაგად მომცემ.

ქრისტიანთმთავარი. ვნახოთ, რას მეტყვი. მხოლოდ მოკლედ, არ დაგავიწყდეს, მრევლი მიცდის.

ბოგანო ბრძენი. მრევლისთვის ვიღვწით ორთავ. შენ — როგორც მთავარი და რწმენის მოძღვარი, მე — როგორც მრჩეველი შენი. დიდება შენად რჩება, ჩრდილში დგომა — ჩემად.

ორადგაყოფილ ქვეყანაზე, ვგონებ, მძლავროპს ქრისტეს რჯული. გამარჯვებულნი — ეპისკოპოსნი და მღვდელმთავარნი ერთს დიდს კრებაზე რომ შეიყრებით, დათვლას დაიწყებთ უცილობლად, ვინ რამდენი წმინდანი მისცა საქრისტიანოს, ვისი მრევლი არის უფრო ერთგული რჯულის და ვინ მეტი შესწირა ჯვარცმისთვის ომს. საეკლესიო ჩინს, წოდებას, თანამდებობას, ზიზილ-პიპილებს და ყველა სხვა პატივს იმის მიხედვით განაწესებთ, თუ მრევლში ვის რამდენი წმინდანი ჰყავს.

შენ რა ნობათს მოუტან კრებას? კოლაელ მრევლში ქრისტესათვის ჯერ არცერთი არ შეწირულა. რით დაამტკიცებ შენს ერთგულებას, ან ვითომ უბიწო სამსახურის რა მაგალითს დაასახელებ?

თუ მიხვედი ხელცარიელი, გვერდს აგივლიან, არც მოგისმენენ, შენს მთავრობას არად ჩააგდებენ, თუ არ წაგართვეს ის, რაც გაქვს, ახალს არაფერს მოგიმატებენ, არცა წოდებას, არცა მრევლს, არც უფლებასა და არც მიწებს. ოქროს ოლარსა და ალმასის ჯვარზე ოცნებითაც ვერ იოცნებებ.

ქრისტიანთმთავარი. კოლაის სიმშვიდე და დადგენილი რიცხვი მრევლისა განა არ არის დასტური ჩემი ერთგული სამსახურის და მღვდელთმთავრობის დიდი ტალანტის?

ბოგანო ბრძენი. ღმერთებისთვის ატეხილ ომში სიმშვიდე ღალატია! არ დაგავიწყდეს, თქვენი ქრისტე ცეცხლითა და მახვილით მოდის, არა მშვიდობის მისაფენად, მსხვერპლს თხოულობს და სისხლი უყვარს. ახლა კოლაის ჯერი დადგა. ბედი გქონია: კოლაის რიგი ქრისტეს ნუსხაში შენს მთავრობას ერგო წილად.

ქრისტიანთმთავარი. სჩანს ტყუილად არ გაძლევდი ოქროს და ვერცხლს. სათქმელი ბოლომდე სთქვი!

ბოგანო ბრძენი. ქრისტე კოლაელ ყრმათ თხოულობს...

ქრისტიანთმთავარი. ყრმებთან ბრძოლა არ ეკადრება არც ჩემს ასაკს და არც მთავრობას.

ბოგანო ბრძენი. ვინ გირჩია, ებრძოლეო! მათი ყრმობა მსხვერპლად შესწირე ქრისტესთვის ომს. საქრისტიანოს ერთის მაგივრად ცხრა წმინდანი შეემატება, შენით ქმნილი ცხრა წმინდანი. დაგიფასდება სამსახური, ახალ წოდებას მოგანიჭებენ, და შესაძლოა, თვით კეისრის მარჯვენით დაგსვან.

ქრისტიანთმთავარი. ყრმა ჯერ ყრმაა: არც ცანსჯა აქვს, არც ცნობა რწმენის.

ბოგანო ბრძენი. სამაგიეროდ, ერთი თვისება აქვს: ყრმა, შეწირული რწმენისათვის აატირებს მოყმეს და მხცოვანს, გინდ მეკერპეს და გინდ ქრისტიანს.

ქრისტიანთმთავარი. წმინდანთა ხვედრს ვით ვაზიარო?

ბოგანო ბრძენი: დასჭიმე ლარი! ყრმათ მეკერპეთ, უპირველესად, სურვილი გაულვივე ნათლისღებისა. მერე მირონი დაანათლე. განრისხდებიან მშობელნი, იმძლავრებენ და ყრმათ წმინდანობა არ ასცდებათ. არ იმძლავრებენ და, მოქცეული ყრმანი წმინდანობის ღირსნი მაინც იქნებიან, რამეთუ დაუტევეს მშობელთ წარმართობა და ქრისტეს შეუდგნენ. შენმა ქრისტემ მოგივლინა ყრმანი და ჩემი ბრძნული რჩევაც.

ქრისტიანთმთავარი. სიტყვით კარგად ჰკერავ, საქმით რა გამოვა? შენ მართალი ხარ, წმინდანი მჭირდება, ერთი მაინც! თუ არ ახდა ყრმათ წმინდანობა, იცოდე, წარმართთა მთავარს ვეახლები, შენს თავს ძალით წარმართ კერპებს ვათაყვანებ, მერე ჩაგსვამ დილეგში, იქ მოგნათლავ და შენს ბრძენ გვამს ისევ წარმართთ დავუბრუნებ საწამებლად. რით იქნები სხვა წმინდანზე ნაკლები ღვაწლის! ღამით შენს ნეშტს მოვიპარავთ და ეკ-

ლესიაში დავასვენებთ. ქრისტიანთ კრებას შენი წმინდანობით ვეახლები. ახლა არჩიე: ან ყრმანი იქმ ქრისტიანთ წმინდანებად, ან თავი გასწირე.

(მსახურთ) მიტრა და კვერთხი! მრევლთან ყოფნა და ბაასი მსურს!

## V

მწუხრის ლოცვა. მღვდელთმთავარი და ხუცესი დადგენილი რიტუალით სწირავენ.

ქრისტიანთმთავარი. (მლოცველთათვის) შთაბერე ნათელი,

ჩვენსა გონებას, უფალო ღმერთო!
გულს მიანიჭე ცნობა გრძნობათა.
ბრმათ აღუდგინე უნარი ხილვის.
რომელმან მოგვეც სიტყვანი უსმი,
უტყუარნი დაბადებიდან, —
იგივე მადლი, სახიერი,
მოგვეცი უღირსთა ჩვენ, —
რათა აღმოვთქვათ ქებანი
შენთვის წამებულ სულთა.

(ხუცესს, ჩუმად) რაოდენნი არიან იგი კოლაელნი ყრმანი?

ხუცესი. ცხრანი.

ქრისტიანთმთავარი. (მლოცველთათვის)

ვითარცა ვარდი,
სურნელი და ფერით მშვენიერი,
უნაყოფო ეკალთა შორის შენ აღმოცენდი.
ვითარცა სანთელმან მიეც ნათელი
შორის ნათესავთ ბნელეთისა, ბნელეთის მქნელთა.
დიდებით მავალო, შენ,
მოხვედ მახვილით, ცეცხლით,
აძაგე კერპთა მატყუართ.
ამისთვის აღდგნენ შენს საწამებლად.

(ხუცესს) მტკიცე არს ყრმათა სურვილი ეძმონ ქრისტიან თანატოლთა?

ხუცესი. მძლავრობით სურთ აქ შემოსვლა ლოცვად.

ქრისტიანთმთავარი (მლოცველთათვის)

სიბრძნით დაადგა გზას საუკუნოსა
ცხოვრება შენი.
და გულისხმითა დასდევ საზღვარი
ამა ცუდისა საწუთროისა,
რადგანაც კერძო ყოველი ამაო არს.
და სიხარული, ზეცით მოსული,
წმინდასა გზასა, ვითარც იფქლს-ღვარძლსა,
გზასა სიცრუის ჩვენ დაგვაშორებს.

(ხუცესს) რა არს ასაკი ყრმათა?

ხუცესი. ზოგი ცხრისა არს, ზოგი შვიდის, ზოგი უფროსი, ზოგი უმცროსი.

ქრისტიანთმთავარი. (მლოცველთათვის)

ისარნი, რწმენის ძალით ლესულნი —
მიმართე ძლევით
მათ უწმინდურ გულთ.
და ვითარცა მონადირემან
დაეც მგელი იგი მძვინვარე ფარისეველთა.
და იხარებენ ცხოვარნი
პირმეტყველნი, და გიგალობენ
დიდებაი ძალსა შენსა,ძლიეროქრისტე!

მლოცველნი. ამინ!

ქრისტიანთმთავარი. ისმინეთ ჩემი, ქრისტეს ერთგულნო არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს, და არცა საიდუმლო, რომელი არა გამოცხადდეს. სოფელი ჩვენი, სახელად კოლაი, არს გაყოფილი ორად. უმცირესი ნაწილი ხართ თქვენ, ერი მართლმორწმუნე და ქრისტიანი. უმრავლესნი დღეს ურწმუნონი, მეკერპენი არიან, მაგრამ იმძლავრებს რწმენა ჩვენი, რამეთუ არს რწმენა მომავლის, რწმენა ჭეშმარიტი, რწმენა ამამაღლებელი კაცთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაუწყებს, რომ ყრმანი კოლაელნი, შვილნი მეკერპეთანი, შესულებულან თქვენთა ყრმათაგან, სიყვარული მაცხოვრისა მძლავრობს და შეჰლალადებს ზიარებას ქრისტეს რწმენისა. ლოცვად უნდათ თურმე აქ შემოსვლა, მძლავრობენ და ჟინიანობენ.

ჩაჰკეტეთ კარნი ეკლესიისა! არა ჯერ არს უწმინდურთა შესვლა სახლსა წმინდასა. უთხარით ყრმათ: — თუ გნებავთ შემოსვლა ჩვენთან ერთად ეკლესიაში, ირწმუნეთ უფალი ჩვენი, ნათელიღეთ სახელისა მიმართ მისისა და ეზიარენით საიდუმლოთა მისთა და შეგვიერთდით ქრისტიანეთა.

იმ ყრმათ მშობელნი მეკერპენი არიან.

თუ უარჰყოფენ ყრმანი კოლაელნი მეკერპეთანი მშობელთა თვისთა წარმართობას, მაშინ აღსრულდება უფლის სიტყვები მათესგან მოტანილი სახარებაში:

„ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ მე მიფენად მშვიდობისა ქვეყანასა ზედა., არა მოვედ მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა.

რამეთუ მოვედ განყოფად კაცისა მამისაგან თვისისა და ასულისა დედისაგან თვისისა და სძალი დედამთილისგან თვისისა.

და მტერ იყვნენ კაცისა სახეულნი თვისნი.

რომელსა უყვარდეს მამაი ანუ დედაი უფროის ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს., და რომელსა უყვარდეს ძე ანუ ასული უფროის ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს.

და რომელმან არა აღიღოს ჯვარი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს.

რომელმან მოიპოვოს სული თვისი, წარიწყმიდოს იგი, და რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან პოვოს იგი“.

თუ მიიღებენ ყრმანი წარმართთანი რწმენას ჩვენსა, ნათელიღებენ სახელითა მისითა, ეზიარებიან საიდუმლოთა მისთა, მაშინ გაიღება კარი ეკლესიისა და კვლავ შეერთდებიან განყოფილნი ყრმანი კოლაელნი, იმღერიან და ითამაშებენ, ვითარცა არს წესი ყრმათა.

ეს არის ნება უფლისა, ამინ!

მლოცველნი. ამინ!

ქრისტიანთმთავარი. აწ წადით და განამრავლეთ თესლნი კეთილნი უფლისანი!

მლოცველნი სტოვებენ ეკლესიას გამოსათხოვარი საგალობლის ფონზე.

## VI

ქრისტიანთმთავარი და ხუცესი.

ხუცესი. რად გაალვივე ლადარზე ცეცხლი, რად მოუწოდებ მრევლს წინ აღუდგეს კოლაელ ყრმათ?

ქრისტიანთმთავარი. იყუჩე, ბერო! ლოცვის ჟამს მომესმა ხმა იდუმალი და რაც მაუწყა, ისა ვქმენ!

ხუცესი. გაიზრდებიან ყრმანი, დაუდინჯდებათ გონება და თვით აირჩევენ თავიანთ ღმერთს.

ქრისტიანთმთავარი. ღმერთი ერთია ქვეყანაზე!

ხუცესი. ის ღმერთი თვით აირჩიონ!

ქრისტიანთმთავარი. ჩვენ ვიყოთ მშვიდად და ვუცქიროთ, როგორ აცდუნებს ყრმათა სულს ეშმა?

ხუცესი. თვითონ ბრძანე: დრო არის რთული და შფოთით სავსე. სჯობს განვარიდოთ ყრმანი ამ შფოთს. ნუ მიიღებენ ნათელმირონს. გავუღოთ კარნი ეკლესიისა: ტოლებთან ერთად მოუსმინონ საღვთო გალობას, ბრძნულსა სიტყვას სახარებისას. ნუ აღსდგება მათ დასათრგუნად მორწმუნე მრევლი. ორი რწმენის გზაგასაყარზე ძალას ნუ ვცდით სუსტსა და ჩვილზე. უღელი მძიმეა, გასტეხს ხერხემალს და ხეიბარნი მომავალში ველარ გასწევენ რწმენის მძიმე ტვირთს.

ქრისტიანთმთავარი. უღელი რწმენის ტკბილი არს და ტვირთი მისი — მსუბუქ.

ხუცესი. არა ყრმათათვის...

ქრისტიანთმთავარი. ყოველი სულიერისთვის...

ხუცესი. მუხლმოდრეკილი გევედრები: ეკლესიის კარნი გავუღოთ წარმართ ყრმათ, ნუ დავაშორებთ შესულებულ თანატოლთ, ნუ

დავსჭით განშორებით, ძალით ნუ მოვცჭებთ ნათელ-მირონს...

ქრისტიანთმთავარი. მე უკეთ ვიცი, რასა ვიქმ!

ხუცესი. კოლაელთ რისხვა დაატყდებათ...

ქრისტიანთმთავარი. თუ ასე სურს ზეცას, დე, ასე იყოს!

ხუცესი. განმარიდე ეკლესიას, ამხსენი ჯვარი, უფლება მომეც გარდავიხვეწო!

ქრისტიანთმთავარი. შენის ხელით მიიღებენ ნათელს წარმართნი ყრმანი სახელისა უფლისა მიმართ!

ხუცესი. ნათლისღებით ცოდვას ვიქმ...

ქრისტიანთმთავარი. უყვარხარ ყრმათ და შენს სიტყვას ბრმად დაჰყვებიან.

ხუცესი. ვერ ვიქმ საქმეს, გინა წმინდას, გინა უწმინდურს, თუ ყრმანი კოლაელნი საწამებლად განწირულან!

ქრისტიანთმთავარი. ნათლისღებით წამება ვინ სთქვა! ასე მეზმანა ღმერთთან საუბრის ჟამს და ასე ვიქმ: ყრმათ შენ მონათლავ!

ხუცესი. შენ გეზმანა და შენვე უნდა მოაქციო...

ქრისტიანთმთავარი. ყრმათ შენ მონათლავ, მე — მათ მშობელთ...

ხუცესი. განრისხდებიან მეკერპენი...

ქრისტიანთმთავარი. იხარებს მწყემსი — განმრავლდებიან ცხოვარნი მისნი.

ხუცესი. ვაი, ყრმანო კოლაელნო მეკერპეთანო!

ქრისტიანთმთავარი. მეკერპეთ რისხვას ვერსად წაუვლენ მათი ყრმანი. არს უმჯობესი ამ რისხვას შეხვდნენ ნათელ-მირონით, შეიფარებს მაშინ უმანკო სულთა კალთა უფლისა.

ხუცესი. რად აგირჩიათ, უბედურნო, უფალმა კერძოით თქვენ?!

ქრისტიანთმთავარი. მრავალ არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ. იგი ყრმანი კოლაელნი იქნებიან რჩეულთა შორის.

ხუცესი. ვილოცებ მათთვის...

ქრისტიანთმთავარი. მონათლავ მათ!

ხუცესი. შემინდეთ, კრავნო უცოდველნო!

ქრისტიანთმთავარი. წარსდექ წინაშე ურწმუნოთა, და მოიქეც, ვითარც გონიერი მთესვარი თესვად. ამინ, გეტყვი მე შენ!

ქრისტიანთმთავარი გადის. ხუცესი მარტო რჩება. შორიდან ისმის ყრმათა გალობა.

VII

მეკერპეთმთავრის დარბაზი.
ბუხარში ცეცხლი ანთია. მეკერპეთმთავარი ერთხანს მდუმარედ უმზერს ცეცხლს. შემოდის მსახური.

მსახური. თქვენის ბრძანებით აქ გაახლეთ ბოგანო-ბრძენი.

მეკერპეთმთავარი. შემოიყვანეთ!

მსახური გადის და რამდენიმე ხნის შემდეგ შემოაგორებს კასრს.

მსახური. ასე ინება, გაჯიუტდა და არ დაგვიჯერა.

ბოგანო ბრძენი. (ამოყოფს თავს კასრიდან) მონას არ უთხრა საყვედური, ჩემი სურვილით გეახელ ასე.

მეკერპეთმთავარი. რა ძალა გადგა?

ბოგანო ბრძენი. ჩემს სადგომიდან შენს საყდრამდე გზა დიდი არის, სავალად კარგი, მშვენიერი ბუნებით და ყოვლითა კერძო. მგზავრნი ამ გზაზე შვებასა გრძნობენ და წუთ უმეცარ არიან. მე უარს ვამბობ შვებასა და უმეცრებაზე. კასრის გორებით, ცალკერძ გვერდების გვემით და ცალკერძ ტრიალის გულისრევით მთავრობით მონიჭებული ზემოდგომობა გაგიბათილე. თავად განსაჯე — თუ ჩემი გვემა გადაგიწყვიტავს, კასრით ნაგვემ სხეულს კვალი არ დააჩნდება-რა. თუ ჩემს სიბრძნეს ლიქნით შეასხამ ხოტბას, სიცრუით გული აღარ ამერევა — თუ კი რამ მქონდა ისედაც ცარიელ კუჭ-ნაწლავში, აქეთობისას დავანთხიე. შენგან მძლავრობით მოსახდელი ჩემგან ნებით გარდავიხადე. ახლა რაც გინდა, ჰქმენ, მე უკვე თავისუფალთა სიაში ვარ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეკერპეთმთავარი. თუ დალანდე რამე კოლაის ორთავე მხარეს?

ბოგანო ბრძენი. კერძოით რა?

მეკერპეთმთავარი. ხომ სიმშვიდეა?

ბოგანო ბრძენი. შენ როგორ გსურს: იყოს სიმშვიდე თუ შფოთი? მითხარი, და როგორც გეამება, ისე მოგახსენებ.

მეკერპეთმთავარი. შფოთის სუნი მცემს და ძილს მივცე თავი, რა ბედენაა?

ბოგანო ბრძენი. მეკერპეთ თუ სცეს თაყვანი კერპებს მწუხრის ჟამს?

მეკერპეთმთავარი. როგორც წესი არს მეკერპეთა: განთიადისას, მიმწუხრისას და შუადღისას.

ბოგანო ბრძენი. ხომ არ დააკლდნენ თაყვანისმცემლები ყოვლისმძლე ღმერთებს?

მეკერპეთმთავარი. არც დააკლდნენ და არც მოემატნენ.

ბოგანო ბრძენი. დააკლდებიან, როგორც სჩანს...

მეკერპეთმთავარი. დღეს არ დაჰკლებიან...

ბოგანო ბრძენი. დღეს არა, მომავალში დააკლდებიან...

მეკერპეთმთავარი. მაგ სიტყვებით განარისხებ ჯერ ღმერთებს, და მერე მე.

ბოგანო ბრძენი. რისხვა ვერ შეგმატებთ თაყვანისმცემელთ ვერც შენა და ვერც შენს ღმერთებს. ან ვინ სჩივის შემომატებას, რაცა გაქვთ, ისიც არ დაჰკარგოთ შენაცა და შენმა კერპებმაც.

მეკერპეთმთავარი. კაცი ხარ სიტყვის მკერავი და ლაქარდიანი. ამიხსენი, რასა ქარგავ და რას მემუქრები.

ბოგანო ბრძენი. განრისხდებით ჯერ შენა და მერე ღმერთები...

მეკერპეთმთავარი. შენ სთქვი, ჯერ მე მოგიომენ და მერე ღმერთებთანაც გიშუამდგომლებ, იქნებ იმათაც გაპატიონ.

ბოგანო ბრძენი. ჭეშმარიტება ეგრე ადვილად არ იჭვრიტება და არც სათქმელად არის ადვილი.

მეკერპეთმთავარი. გიბრძანებ და იტყვი. იუარებ და მოცემული ოქროს სანაცვლოდ ტყავს გაგაძრობ.

ბოგანო ბრძენი. შენ მიბრძანებ, კერპები სდუმან. კასრი აქეთ რომ მოგორავდა, გვერდები გამექუცა და არც გასატყავებლად დარჩა რამე.

მეკერპეთმთავარი. ჩემით კერპები ღაღადებენ....

ბოგანო ბრძენი. კერპებს ვინ მისცა მეტყველი ენა, ან ცეცხლს ვინ ანდო ჩემი განსჯა?! კერპი კერპია, უსულო და უტყვი ღმერთი წარსულისა...

მეკერპეთმთავარი. შენც აჰყევი ახალ ღმერთზე მოგონილ ტყუილს? დამიჯერე, ისევ ძველი კერპი სჯობია.

ბოგანო ბრძენი. პირს წაუღია ერთიცა და მეორეც. ჩემი ღმერთი მე ვარ თვითონ.

მეკერპეთმთავარი. ამ ბოლო ხანს უცნობი რამ დარდი მომეძალა. ლოდი მომხსენი გულიდან და მთხოვე, რაც გინდა!

ბოგანო ბრძენი. კასრში ჩაჯექი ჩემს მაგივრად, გაგორავებ და ისე გეტყვი.

მეკერპეთმთავარი. ეგ რისთვის?

ბოგანო ბრძენი. ახლა შენ რომ გამითანაბრდე: იგვემო და თუ ტყუილს გეტყვი, იმაზეც გული აგერიოს. ერთხელ შენც შეძვერ ჩემს ნაჭუჭში, არაფერი დაგიშავდება.

მეკერპეთმთავარი. ეგრე იყოს. (ჩაჯდება კასრში) ავასრულე შენი თხოვნა.

ბოგანო ბრძენი. (აგორავებს კასრს) კაცთა მოდგმა ქალიაგან ქმნილა და მეძავობა იმთავითვე დასჩემებია. ხან ერთ ღმერთს ეძლევა როსკიპივით, ხან მეორეს. დაუძველდება ერთი ღმერთკურო და მეორეს ეძებს, დაემონება მორჩილად, მასთან იმრუშებს და მერე მესამეს მოიგონებს, ახლა მასთანაც გაცვითავს ვნებას და მეოთხესთან ავხორცობას წინ აღარა დაუდგება-რა. შენ თვითონ ხედავ — ცეცხლზე კაცმა ძალა იჩინა, მოსამსახურედ დაიყენა და ახალ ღმერთს ეძებს.

მეკერპეთმთავარი. იპოვა მერე?

ბოგანო ბრძენი. კასრში ჩაჯექი! სათქმელი ჯერ ბევრი მაქვს კაცთ უნდათ ღმერთად კაცი იწამონ, კაცის სახით და მეტყველი ენით. კაცისავე ხატი დასახეს ღმერთად და ნაზარეველ

ქრისტეს შეუდგნენ, ამა სოფლის განმგებელი ძალით მოვლენილს. ქრისტეს ადიდებს ერი და მისი დიდებით საკუთარ თავსაც განადიდებს, ურჩევნია კაცის თარგით შექმნილი ღმერთი უსულო ცეცხლს და უსულო კერპებს. შენი ერთგული წარმართი ერიც, ხვალ თუ არა ზეგ, ამ ახალ ღმერთს იწამებს.

მეკერპეთმთავარი. მე ერის ნებას დავყვები უმალ.

ბოგანო ბრძენი. კასრში ჩაჯექი! ველარ დაჰყვები. ახალი ღმერთის აღიარება ძველი ღმერთის მქადაგებლის გვემით იყება.

მეკერპეთმთავარი. სად არის ხსნა?

ბოგანო ბრძენი.. უნდა უერთგულო ძველ ღმერთებს.

მეკერპეთმთავარი. ჩათრევას იქნებ ჩაყოლა სჯობდეს?

ბოგანო ბრძენი. შენი სიკვდილი უნდა გახდეს ძველი კერპების უარყოფისა და ახალი ღმერთის მოწამეობის სანიშნო სვეტი ჟამთაღწერაში. თუ მდაბიო ერს ღმერთების გაცვლა-გამოცვლა არაფრად უღირს, რწმენის მთავარნი უცილობლად უნდა ეწამონ.

მეკერპეთმთავარი. მაშ დაჰკრა ჟამმა, აღსასრულის მაუწყებელმა?!

ბოგანო ბრძენი. ნუ მისცემ საბაბს ჟამთასვლის კანონს შენზე სცადოს თავისი ძალა. გვამს სამსხვერპლოზე ნუ მიიტან, ნუ უარყოფ ძველ კერპებს. პირიქით ჰქენ: დაიცავ რწმენა. წლებს, შენს კერძად დარჩენილს სიკვდილამდე,კიდევ გაუძლებს კერპების ძალა.

მეკერპეთმთავარი. ამა სოფლის უმრავლესნი მეკერპეთანი არიან. მტერს ვერ ვხედავ ბრძოლის ველზე, ბრძოლად არ მოდის და უჩინარს როგორ ვებრძოლო?

ბოგანო ბრძენი. ქრისტიანობა ხან ცეცხლითა და მახვილით მოდის, ხან ლიქნითა და ლაქუცით. კარგად ეძებე და იპოვი მტერს. თუ ცეცხლით მოდის, შენც მხედრიონით დაუდექ წინ. თუ ლიქნით — მაშინ ქვეწარმავალთ მოუხმე და ასპიტი ასპიტისვე გესლით მოწამლე.

მეკერპეთმთავარი. გიხმე კიდეც! შენს რჩევას ვუცდი.

ბოგანო ბრძენი. ყრმათ, შვილთ კოლაელ მეკერპეთა, სურთ გაუდგნენ კერპებს და ქრისტეს რჯულზე მოინათლონ.

მეკერპეთმთავარი. მტრად ყრმანი ვსახო?

ბოგანო ბრძენი. ქრისტიანნი ამბობენ: პირითა ჩვილთა ყრმითაი დაამტკიცე ქებაი. შენ ასე სთქვი: მტრობით განდგომილ ყრმათა ვუმტრო ქრისტიანთ ქებას.

მეკერპეთმთავარი. იქნებ სჯობდეს მხედრიონი მოვიხმო და ვაოტო კოლაის საქრისტიანო ნახევარი?!

ბოგანო ბრძენი. წუთ უმეცარ ხარ და სამსხვერპლოზე ისწრაფი. ჩქარა დაშთება ჟამი შენი მთავრობისა, თუ შენს კერძად განჩინებული დრო არ მოიგე. დღევანდელი ყრმა ხვალინდელ ასაკოვან მორწმუნეს ნიშნავს. ხვალინდელი დღე დაიცავ შენთვის, ხვალ ზეით კი პირს წაუღია ყველა რწმენა და ყველა კერპი.

მეკერპეთმთავარი. ძალით ვიბრძოლო თუ ხერხით?

ბოგანო ბრძენი. შენ განზე გადექ. ქრისტიანთ ხუცესმა მონათლოს ყრმანი. განრისხდებიან მშობელნი. შენ ყრმათ ურჩობა მშობელთ მოჰკითხე. ღადარზე ცეცხლი გაალვივე. განრისხებულ და ვნებააშლილ მშობელთა ხელით დაისჯებიან ურჩი ყრმანი.

დავიღალე. ამოძვერი კასრიდან და მაგორავე, ახლა ჩემი ჯერია.

*გაცვლიან ადგილებს. ბოგანო ბრძენი კასრში ჩაჯდება. მეკერპეთმთავარი კასრს აგორებს.*

მეკერპეთმთავარი. თუ ისე ვქმენ, როგორც მირჩევ, შფოთი ატყდება კოლაის ორივე მხარეს.

ბოგანო ბრძენი. შფოთი მთავრის მარჩენალია. თევზს მღვრიე წყალში უფრო იჭერენ.

მეკერპეთმთავარი. ყრმათა განდგომა განა ღირს შფოთად?

ბოგანო ბრძენი. ქრისტიანთ მღვდელთმთავარი მონათლავს ყრმათ...

მეკერპეთმთავარი. ყრმათ მშობელნი განრისხდებიან...

ბოგანო ბრძენი. ურჩთა აღზრდისთვის შენ მშობლებს დასჯი...

მეკერპეთმთავარი. *(გააჩერებს კასრს. თმებით ამოათრევს ბოგანო ბრძენს)* ყრმათ შენ წაიყვან და მოსანათლად ხუცესს შენ თვითონ ჩააბარებ. ამბავს შენვე მოიტან და მშობელთ [illegible] ააჯანყებ.

ბოგანო ბრძენი. მე მხოლოდ მრჩეველი ვარ შენი...

მეკერპეთმთავარი. უგუნურ რჩევას თუ დავყევი, აღმსრულებელი შენ იქნები. გული არ მითქვამს ყრმათ დასჯას.

ბოგანო ბრძენი. მაშინ შენ დაისჯები...

მეკერპეთმთავარი. სიტყვით როგორც აღწერე, ზუსტად ისე იმოქმედე. დათქმულ ოქროს გაგიორმაგებ.

ბოგანო ბრძენი. მე ოქრო არ მინდა. თუ შევასრულე, ის, რაც დაგპირდი, მაშინ თხოვნა მექნება შენთან და უარი აღარ მითხრა.

მეკერპეთმთავარი. თხოვნაც არის და თხოვნაც..

ბოგანო ბრძენი. უხაშველოს არაფერს გთხოვ, მსახურთ ნუ შეაწუხებ, კასრს ფეხი მაგრად ჰკარ და კიბეებზე თვითონ დავგორდები. ასე სჯობია.

*მეკერპეთმთავარი გასასვლელისკენ შეაბრუნებს კასრს და ფეხს ჰკრავს. კასრი ბრახუნით გაგორდება.*

## VIII

*მწუხრი.*

*ბოგანო ბრძენი და ყრმანი.*

*ბრძენი ორი ტოტისგან ჯვარს კრავს. ყრმანი გვირგვინებს წნავენ ჯვრის შესამკობად.*

ბოგანო ბრძენი. მზე შინა და მზე გარეთა

ყრმანი. მზევ, შინ შემოდიო!

ბოგანო ბრძენი. უყივლია მამალსაო.

ყრმანი. მზევ, შინ შემოდიო!

ბოგანო ბრძენი. აქეთურო, იქითურო...

ყრმანი. მზევ, შინ შემოდიო!

ბოგანო ბრძენი. *(ერთ-ერთ ყრმას)* ვისი ხარ და ვისად რჩები?

ყრმანი. მზევ, შინ შემოდიო!

ბოგანო ბრძენი. ტყეში წავქლ უთენია...

ყრმანი. მზევ, შინ შემოდიო!

ბოგანო ბრძენი. ტოტი მოვჭერ ვაზისაო...

ყრმანი. მზევ, შინ შემოდიო!

ბოგანო ბრძენი. წნელო, ლარად დაიჭიმე...

ყრმანი. მზევ, შინ შემოდიო!

ბოგანო ბრძენი. ტოტი ტოტსა გადააბი...

ყრმანი. მზევ, შინ შემოდიო!

ბოგანო ბრძენი. ჯვარო, ჯვარცმის ნიშნად დადექ!

ყრმანი. მზევ, შინ შემოდიო!

ბოგანო ბრძენი. ფესვი ფესვსა გადახლართე...

ყრმანი. მზევ, შინ შემოდიო!

ბოგანო ბრძენი. წყალს დაგისხამ, წყაროს წყალსა...

ყრმანი. მზევ, შინ შემოდიო!

ბოგანო ბრძენი. ვენახივით აყვავდები...

ყრმანი. მზევ, შინ შემოდიო!

ბოგანო ბრძენი. ოქროს გვირგვინს თავს დაგადგამ...

ყრმანი. მზევ, შინ შემოდიო!

ბოგანო ბრძენი. სულსა, გულსა შემოგწირავ...

ყრმანი. მზევ, შინ შემოდიო!

ბოგანო ბრძენი. ჯვარო, ჯვრობით გაიხარე...

ყრმანი. მზევ, შინ შემოდიო!

ბოგანო ბრძენი. მზე და მთვარე განაცვალე...

ყრმანი. მზევ, შინ შემოდიო!

*დააყენებენ ყვავილებით შემკულ ჯვარს. შემოდის ხუცესი.*

ბოგანო ბრძენი. *(ხუცესს)* იწილო, ბიწილო,
შროშანო, გვრიტილო,
ალხო, მალხო,
ჩიტმა გნახოს...

ხუცესი. ყრმათაც მისწვდათ შენი გესლი და ბალღამი!

**ბოგანო ბრძენი.** შენს საქნარს მე ვიქმ და ეგ სიტყვები არ მეკადრება.

**ხუცესი.** კაცი ურწმუნო და მიუსაფარი, არაკაცობის ღვარძლით სავსე, ვით იქმ რწმენას შემდგარი მსახურის საქმეს?

**ბოგანო ბრძენი.** სიტყვას ნუ ჰკერავ! ხომ ხედავ, ჯვარი აღმართეს მეკერპე ყრმათ და შენის ხელით ნათლისღებას ელოდებიან.

**ხუცესი.** ვაი, რომ ჩემით ხელქმნილი ეს ნათლისღება ავს უქადის უცოდველ კრავთ!

**ბოგანო ბრძენი.** სხვა გზა არა გაქვს, უნდა აღასრულო მთავრის ბრძანება. მისი პირით ზეცა ღაღადებს. ერთს გთხოვ მხოლოდ: ქრისტიანობა საბოლოოდ რომ გაიმარჯვებს, ჩემი ღვაწლი არ დაივიწყოთ კოლაელ წმინდანთ კურთხევაში.
(მასხრობით) იწილო-ბიწილო,
შროშანო გვრიტილო,
ალხო, მალხო,
ჩიტმა გნახოს.
(გადის)

შორეულად ისმის საგალობელი. ყრმათა გუნდი ორად გაიყოფა. ქრისტიანნი ერთ მხარეს შეიკრიბებიან, მეკერპენი — მეორე მხარეს. ორ ახალგაზრდა საეკლესიო მსახურს თეთრი ანაფორა მოაქვს ხუცესისათვის, შემდეგ თეთრ სამოსელს ამზადებენ ყრმათათვის.

**ხუცესი.** უფალო, აღვასრულებ ნებასა შენსა, მაგრამ უმეცარ ვარ და შენ გაგანდობ მხოლოდ, რომ ბუნებაი ჩემი ამა საქმისა წინააღმდეგი არს, რისთვისაც შენდობას გთხოვ.

სარბიელის შუა ადგილს ამოიღებენ, ისე, როგორც ეს გაყინული მდინარის პირზე იციან ხოლმე.
მარჯვნივ ქრისტიანნი ყრმანი დგანან, თეთრებში მოსილნი, ოქროსფრად შეღებილი დაფნის გვირგვინებით.
მარცხნივ მეკერპე ყრმანი შეკრებილან, თრთიან უცნობი რიტუალის მოლოდინში.
შუაში ხუცესია, თეთრ ანაფორაში.
ყრმათა მონათვლა უნდა მოხდეს უბრალო, მიამიტურად მნიშვნელოვანი რიტუალით, ისე, როგორც ეს სასკოლო წარმოდგენებში იცოდნენ ოდესღაც.
ქრისტიან ყრმათა გალობა მთელ რიტუალს გასდევს.

**ყრმათა საგალობელი.** იყო ჟამი ზამთრისაი,
იყო ღამე ნეფხვისაი.

მოსცა წყალმა ფრიად სითბო,
წყალმა დიდმა მდინარისამ.

იყო ჟამი ზამთრისაი,
იყო ღამე ნეფხვისაი.

სამოსელით სპეტაკ-თეთრით
შეიმოსენ ყრმანი ზეცით.

იყო ჟამი ზამთრისაი,
იყო ღამე ნეფხვისაი.

ნათელ იღეს მეკერპეთა,
ყრმათა, შვილთა კოლაელთა.

იყო ჟამი ზამთრისაი,
იყო ღამე ნეფხვისაი.

ალილუია, ალილუია,
ალილუია, ალილუია.

ამ საგალობლის ფონზე მეკერპე ყრმანი იხდიან სამოსს და შიშვეულნი ხუცესისაკენ მიდიან. ქრისტიან ყრმათა გუნდსაც გამოეყოფა ყრმა და თეთრი სამოსელითა და დაფნის გვირგვინით ისიც ხუცესიკენ მიდის. ხუცესი ჭრილში ჩაუშვებს მეკერპე ყრმას და უმალ უკან ამოიყვანს. ქრისტიანი ყრმა თეთრ სამოსს მოასხამს, თავზე ოქროს გვირგვინს დაადგამს და ხელჩაკიდებული მიჰყავს მონათლული მეგობარი ქრისტიანთ გუნდისკენ. და ასე სათითაოდ, [illegible] ყრმანი ერთ დიდ გუნდად არ შეიკრებიან და ერთად არ იმღერებენ საგალობელს.
ხუცესს ცრემლები ღაპაღუპით დასდის.
სადღაც, შორს ძელს ჰკრავენ და ზარის ხმაც შორეულად ისმის.

პირველი მოქმედების დასასრული.

## მოქმედება მეორე

უკაცრიელი ადგილი
სამი მხრიდან სამნი შემოდიან: ბოგანო ბრძენი, ქრისტიანთმთავარი და მეკერპეთმთავარი.

**ბოგანო ბრძენი.** ორი რწმენის ორ მთავარს აქ მოსვლა გთხოვეთ, რადგან ორნივ ერთი ხართ, ერისთვის ქმნულნი და ღმერთებისთვის კაცთ დასათრგუნად მოვლენილნი.
ეს ადგილი კუნძულია შუა მდინარისა, უკაცრიელი და მიტოვებული, ზაფხულში გვალვით გადამწვარი, შემოდგომაზე დაჭირხლული, ზამთარში თოვლით დაფარული, გაზაფხულზე წყლით დატბორილი. აქ არც მეკერპენი სთესენ თესლს რამე და არც ქრისტიანნი მკიან. თოვლი, გვალვა და ხორშაკი ქარი ჩვენი შეხვედრის კვალსაც წაშლის.
ერთმანეთთან გულახდილობა გმართებთ. ვიდრე ერთნი გასჭრიდნენ ყამირს და მეორენი მიწას წყალს მოსტაცებდნენ, თქვენ თქვენი ჰქმენით, სათქმელი სთქვით და საქნარიც მოიმოქმედეთ.
(გადის)

ქრისტიანთმთავარი და მეკერპეთმთავარი მარტონი.

**ქრისტიანთმთავარი.** ერთმანეთის პატივისცემა, თანაზიარი ბედი, მთავართ ცხოვრების საიდუმლო წესი ნებას არ გვაძლევს ერთმანეთს ვუმტროთ.

**მეკერპეთმთავარი.** არ დაგავიწყდეს, შენი რწმენა ჩემს რწმენას ებრძვის.

**ქრისტიანთმთავარი.** ბრძოლას, ომსა და შფოთს თავის წესი აქვს, აღნუსხული და აღუნუსხავი კანონები.

**მეკერპეთმთავარი.** ჯვარცმის ომს კერპებთან კანონები არ წარმართავენ. საღვთო ომი, თქვენგან დაწყებული, ამ კანონებს უარყოფს და არად აქცევს. ეს ომი არ ჰგავს არც დავას მეზობლებს შორის, არც ოჯახში ატეხილ შფოთს. ჟამი ჟამს ებრძვის, დრო-საუკუნეს. ორად გაიყო სამყარო და რას ეძებ აქ წესსა და კანონს?!

**ქრისტიანთმთავარი.** თუ ერთმანეთთან სამტროდ მოვსულვართ, მტრობისთვის დადგენილ წესს უნდა დავყვეთ.

**მეკერპეთმთავარი.** ჩვენ ერთმანეთთან სამტრო არა გვაქვს რა.

**ქრისტიანთმთავარი.** კერძოით ჩვენ არა, მხოლოდ იმ რწმენის კერძ, რომელს ვმსახურებთ.

**მეკერპეთმთავარი.** მტრობის კანონებს ის ემონოს, ვინც მსხვერპლად არის დაბადებული. ჩვენ მთავარნი ვართ, წესნიც ჩვენ უნდა დავაწესოთ და კანონიც ჩვენვე დავაკანონოთ.

**ქრისტიანთმთავარი.** გაყოფილია ორად სამყარო. მღვრიე მორევში თევზაობა ჩვენი ხვედრია.

**მეკერპეთმთავარი.** თუ დაიწმინდა წყალი, დამშვიდდა ქარი, გუბედ გადაიქცა მორევი, მაშინ თევზიც დაიღუპება და მეთევზესაც შიმშილი ელის.

**ქრისტიანთმთავარი.** ჩვენ მღვრიე დროის კანონებით ვმოქმედებთ. თუ უარვყოფთ მათ, მღვრიე მორევი ჩვენვე ჩაგვძირავს.

**მეკერპეთმთავარი.** ვიდრე დროა აჭრილი, ჩვენი ძალა არ დაშრება. მე იმ კანონს ვეძებ, რომლის ძალითაც თვით დრო იმღვრევა. ვიპოვი მას და წინ აღარა დამიდგება რა, პირობას გაძლევ, მორევში წყალი აღარ დაიწმინდება.

ქრისტიანთმთავარი. ამ ქვეყანას რა დაამშვიდებს!

მეკერპეთმთავარი. ერთობა რწმენის! თუ დადგა დრო ერთობისა, ძმამ ძმა იძმო და მამა-შვილი, მაშინ მე და შენ მებადურებად აღარ გამოვდგებით.

ქრისტიანთმთავარი. ეგ დრო არასდროს არ დადგება...

მეკერპეთმთავარი. ჩვენ კერძ დადგება, თუ არაფერი არ ვიღონეთ. ღმერთებს შორის ატეხილი ომი და შფოთი ჩქარა ერთობით შეიცვლება. მძლავრობს შენი რწმენა და სულ ჩქარა ერთღმერთობას იზეიმებს კოლაის ორივე მხარე.

ქრისტიანთმთავარი. არჩევანი ვინ დაგაძალა? შენ კერპები აირჩიე, მე — ქრისტე ღმერთი, რომლის შემქმნელმაც შვა ყოველი, უსულოცა და სულიერიც, მზეცა და მთვარეც. მეკერპეთმთავრობა რად აირჩიე? რად დასტოვე დამბადებელი და მხოლოდ მისგან დაბადებული რისთვის მსახურებ? თუ განდევნა დრომ ომი და შფოთი, ჩვენი რწმენა განფენს სიმშვიდეს და ქრისტიანობის გამარჯვებას იზეიმებს მთლიანად ერი. შენ მომავალი გაშინებს, რამეთუ დაკარგავ მრევლსა და საუფლო კვერთხს.

მაგ ეჭვის გზაზე შენს თანამგზავრად ვერ გამოვდგები.

მეკერპეთმთავარი. ნუ ხარჯავ სიტყვებს. აქ არც მრევლი გისმენს და არც კათედრაზე ხარ წირვის ჟამს. ორი მთავარი შევხვდით ერთმანეთს და შიშისა თუ სიხარულის ცხადად თქმა გვმართებს. თუ არა და კვლავ განვიდეთ გაღმა-გამოღმა.

ქრისტიანთმთავარი. არ დაგავიწყდეს, ჩემი რწმენა შენს რწმენას ებრძვის...

მეკერპეთმთავარი. ჩვენ მთავარნი ვართ და მაგ ბრძოლის მთავარსარდალნი. დროთგასაყარზე კერპი და ქრისტე ერთმანეთს შეხვდნენ. მე და შენ ორი განუყოფელი ნაწილი ვართ ამ ერთი დროის, ორი ნატეხი ერთი ქვისა. უნდა ვეძებოთ ერთმანეთი და გასაჭირის ჟამს ერთ ლოდად ვიქცეთ. მაშინ ვერ დაგვძრავს ადგილიდან ვერც შენი ქრისტე, ვერც ჩემი კერპი და ვერც ნიაღვრად მოვარდნილი მორწმუნეთ რისხვა.

ღმერთების ერთობას ჩვენი ერთობა სჯობს.

ქრისტიანთმთავარი. ერთობის ჟამი ჯერ არ დამდგარა.

მეკერპეთმთავარი. დადგა, თუ ყრმანი კოლაელნი მეკერპეთანი ქრისტეს შეუდგნენ.

ქრისტიანთმთავარი. სათქმელი ითქვა!

ჭეშმარიტად, ორთავ გვაწყობს ომი და შფოთი. ჩვენ, ულმერთოებს, მორწმუნეთ მთავრებს, არ გვაქვს უფლება ერთმანეთს ვუმტროთ. შენ ერთგული მრევლი გჭირდება, ისევე, როგორც მე. ვინც შენ განგიდგა, ის მეც უარმყოფს. ჩემს ქრისტეს ერთი მისკენ მობრუნებული ურჩევნია ოთხმოცდაცხრამეტ წმინდანს. მხარს ვერ ავუბამ ნაზარეველს! მე ასივე წმინდანი მინდა, ასი მონა რწმენისა და ეკლესიისა, ასი მონა მღვდელთმთავრისა, ვითომ ზეცის ძალით მოვლენილისა. ზეცამ არა, მღვდელთმთავრობა ჩემმა გენიამ, სიმტკიცემ და უნარმა მომცა. უარყოფას გამბედაობა უნდა, გამბედაობას — ძალა, ძალას — სიმართლე. კაცნი, მჭვრეტელნი ჭეშმარიტების, სიტყვის მკერავნი და რწმენისგან თავისუფალნი უპირველესად მე განმსჯიან, როგორც ცრუს, მპარავს, თვის კერძად მცხოვრებს და სხვათ დამთრგუნავს. მეასე არ მინდა, ოთხმოცდაცხრამეტი მყოფნის! ერთი, შენგან ჩემსკენ მოქცეული, შენადვე უკან მიიქციე, დათრგუნე, ჰგვემე, ძალა იხმარე, ოტე სულით და შენი ძალის უარყოფის ნებას ნუ მისცემ. ეს არის წესი მთავართა, ეს არის კანონი ჩვენი დროის, ის ამღვრევს წყალს კაცთა მოდგმაზე საუფლოდ და მთავართა საკეთილდღეოდ.

მეკერპეთმთავარი. ჩემს აზრებს ამხელ, ჩემს ბოღმას ანთხევ, ჩემს ოცნებას ჰქსოვ!

ქრისტიანთმთავარი. რას უპირებ შენგან განდგომილ კოლაელ ყრმათ?

მეკერპეთმთავარი. ყრმანი არიან და ასაკი მათი შურისძიების მახვილს აჩლუნგებს.

ქრისტიანთმთავარი. პირითა ჩვილთა ყრმათაი არ უნდა დამტკიცდეს ქებაი არც განდგომის, არც უარყოფის, არც ძიების ჭეშმარიტისა და არც სწრაფვისა თავისუფალი აზრისაკენ.

მეკერპეთმთავარი. ეგ დროზე გეთქვა ხუცესისთვის, ვინც იმ ღამეს მონათლა ყრმანი, ვინც მოაქცია მეკერპეთ შვილნი ქრისტეს რჯულზე.

ქრისტიანთმთავარი. ეგ რომ არ ექნა, ყრმით ვერ დავსჯიდით — საბაბი აღარ გვექნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეკერპეთმთავარი. სარფად რა უდევს მაგ სასჯელს?

ქრისტიანთმთავარი. შენკერძ საუფლო ნების სიმტკიცე, ჩემკერძ — წმინდანთ ჩათვლა საქრისტიანო სათვალავში.

მეკერპეთმთავარი. უნდა ეწამონ ყრმანი კოლაელნი...

ქრისტიანთმთავარი. მთავარს არ შვენის ცრემლთა ღვრა. სიმტკიცე და სიმშვიდე გვმართებს.

მეკერპეთმთავარი. უნდა ეწამონ ყრმანი.

ქრისტიანთმთავარი. უნდა მსხვერპლად შეიწიროს ჟამთა სიავემ.

მეკერპეთმთავარი. განდგომისთვის უნდა ეწამონ!

ქრისტიანთმთავარი. ქვის ორი ნატეხი კვლავ შევერთდით. ამ ლოდს ვერ დასძრავს ვერც მორწმუნე, ვერც ურწმუნო და ვერც წმინდანთა წყობილი ჯარი!

მეკერპეთმთავარი. გფარვიდეს შენი ქრისტე!

ქრისტიანთმთავარი. შენი კერპები შეგეწიონ!

გადიან სხვადასხვა მხარეს.

შემოდის ბოგანო ბრძენი.

ბოგანო ბრძენი. (მარტო) ვინ რა იცის, რომ ღმერთებს არას ვეკითხებით, მათ ერთგულებას ვყიდით-ვყიდულობთ, მათ მაგივრად წარვმართავთ მრევლს, მის ბედს, მის იღბალს, სიძულვილსა და სიყვარულს, რწმენასა და სიკვდილ-სიცოცხლეს.

## II

მოედანი კოლაის მეკერპეთ მხარეს. ბოგანო ბრძენი კასრს მოაგორებს შუა მოედანზე და შიგ ჩაძვრება. შემოდის პირველი მშობელი. შემდეგ მეორე.

პირველი. შვილთა ჩვენთა თავს ლაფი გვასხეს...

მეორე. ყრმანი თავისას ვერ გაიტანენ.

შემოდის მესამე მშობელი

პირველი. შვილთა ჩვენთა თავს ლაფი გვასხეს...

მესამე. იქნებ იძალა მათზე ხუცესმა?

მეორე. ჩვენც ვიმძლავროთ, ყრმანი უკანვე ძალით მოვაქციოთ!

შემოდის მეოთხე მშობელი.

პირველი. შვილთა ჩვენთა თავს ლაფი გვასხეს...

მეოთხე. ვინ იძალა ჩემს ყრმაზე?

მეორე. ყრმანი არიან, მათზე ძალადობას ან მათ სიცრუით გატაცებას რა უნდა ვითომ?

მესამე. ვის, სად უნახავს ყრმათა აყოლა?

მეოთხე. ყრმანი ჩვენადვე უნდა მოვაქციოთ!

შემოდის მეხუთე.

პირველი. შვილთა ჩვენთა თავს ლაფი გვასხეს...

მეხუთე. არა ვიცი რა! ეგე ჰქმნეს ძალით თუ ნებით?

მესამე. თუ ძალით, მაშინ მოვსრათ სრულად ქრისტიანთ მხარე!

მეოთხე. თუ ნებით, მაშინ ჩვენი ხელით დავსაჯოთ ყრმანი!

მეორე. ჯერ დავიბრუნოთ, სიმართლე გვითხრან და მერე ვსაჯოთ ან ყრმანი, ან თავგასული ქრისტიანნი!

მეხუთე. ვიმძლავროთ და ჩვენი ყრმანი ჩვენამდე უკან დავაბრუნოთ!

შემოდის მეექვსე.

პირველი. შვილთა ჩვენთა თავს ლაფი გვასხეს...

მეექვსე. ყრმას განდგომას ვერ ვაპატიებ!

მეხუთე. თუ ნებით ჰქმნეს, მაშინ ეგრეა, და თუ ძალით მიიქციეს, მაშინ ყრმანი უცოდველნი არიან.

მეექვსე. ვერ გაბედავდნენ ქრისტიანნი!

მეოთხე. ჯერ ყრმანი დავიბრუნოთ, მერე ვსაჯოთ დანარჩენი!

მეექვსე. მე ჩემი მითქვამს: ყრმას განდგომას ვერ ვაპატიებ გინდ ნებით იყოს და გინდა ძალით!

შემოდის მეშვიდე.

პირველი. შვილთა ჩვენთა თავს ლაფი გვასხეს...

მეშვიდე. სიტყვის კერვაში რად ვკარგავთ დროს? ვერ ვაპატიებთ ამ განდგომას ვერც ყრმათ და ვერც ქრისტიანთ!

შემოდის მერვე

პირველი. შვილთა ჩვენთა თავს ლაფი გვასხეს!

მერვე. ჩემგან ორნი არიან: ერთი ჩემი და ერთი უბილას ობოლი ყრმა.

მეორე. რად ვკარგავთ დროს?! ჩვენი ყრმანი აქ უნდა იყვნენ,

ეროვნული

ჩვენთან ერთად. სისხლიც ჩვენი აქვთ და ხორციც, ჩვენს პურსა სჭამდნენ და ჩვენს წყალს სვამდნენ. ჩვენ უნდა ვსაჯოთ, ჩვენს რჯულზე უნდა მოვაქციოთ, თუ არა და მოვკლათ ჩვენივე ხელით!

ბოგანო ბრძენი. *(კასრიდან თავს ამოყოფს)* აქა ვარ და თქვენი ნათქვამი ყოველივე კარგად მესმის.

მახე საცთური თქვენთვის დაგებულ არს, და არა უწყით, თუ რაი ან ვინ არს საცთური იგი! ჟამი თქვენი იყო წყნარი და მშვიდი. მოვიდა ქრისტე თავის რწმენით და იქმნა ომი და შფოთი, რამეთუ ქადაგებს ნაზარეთელი — შვილთა დედანი დაუტევონ, ძმამ ძმა გასცეს და ქმარმა — ცოლი. განეშორეთო სიკეთით ამა ცხოვრებას და ნეტარება ეძიეთო ჟამთასვლის იქით მხარეს. თუ თქვენც ასე გწადთ, მაშინ გაეცით ყოველივე: ყრმანი, დედანი, ცოლნი და სახლეულნი, დოვლათი და ბარაქა მიწის! თუ არა და, იმძლავრეთ და ყრმანი უკანვე მოაქციეთ. არ დაჰყვებიან თქვენს ნებას — დაჰკარით ქვა ჯერ ყრმათ და მერე მათ ქრისტეს რჯულზე მომაქცეველთ.

საცთური თქვენი — ქრისტე ღმერთია. ვერ სჯით მას და წინარე ვერ აღუდგებით: კარგა ხანია ნაზარეთელი მიიცვალა. მაშ საჯეთ მისი მოციქულნი, კაცნი მის გზაზე შემდგარნი და ყრმანი მათგან დაგებულ მახეში გაბმულნი.

მეხუთე მშობელი. ლაქარდიანი ხარ და სიტყვით კარგად ჰკერავ. წადი, დაიხსენ ყრმანი! იქნებ არცა ღარს ომი და შფოთი. ჩვენ ყრმანი ვსაჯოთ, ქრისტიანებთან რა გვესაქმება?

ბოგანო ბრძენი. ყრმანი შესაძლოა დავიხსნა, მაგრამ შფოთს ვერ განგარიდებთ. დღეს თუ არა, ხვალ ომი გარდუვალია ორად გაყოფილ სამყაროში. სხვანაირად ვერ დამშვიდდებით ვერც თქვენა და ვერც თქვენი ქრისტიანი განაყოფები.

მეხუთე მშობელი. ჩვენ ჩვენი სისხლი და ხორცი დაგვიბრუნე, დანარჩენი მერე ვნახოთ.

ბოგანო ბრძენი. ყრმათ უკან მოგგვრით. თუ უკანვე აღარ მოიქცენ, მაშინ ჩემი ბრალი არა იქნება რა.

მეხუთე მშობელი. თუ გაჯიუტდნენ ყრმანი. მაშინ ავტეხოთ სამკვდრო ომი ქრისტიანებთან.

ბოგანო ბრძენი. *(ჩაძვრება კასრში)* გამაგორეთ!

*მეკერპენი მიაგორებენ ბოგანო ბრძენს.*

### III

*ქრისტიანთმთავრის სადგომი. მუხლმოყრილი მთავარი მდუმარედ ლოცულობს. შემოდის ხუცესი.*

ხუცესი. რაი ვქნათ, უწმინდესო, მირჩიე რამე!

ქრისტიანთმთავარი. ლოცვას რად მიშლევ, რად მაშფოთებ?

ხუცესი. რა ვუყოთ ყრმათ?

ქრისტიანთმთავარი. ვლოცულობ მათთვის.

ხუცესი. მეკერპენი, გულარეულნი და ვნებააშლილნი, მუქარითა და შფოთით მოდიან აქეთ. თავისი ყრმანი თვისადვე უნდათ მიიქციონ.

ქრისტიანთმთავარი. შენ რას იქმოდი, შენი პირმშო რომ წარეტაცათ?

ხუცესი. მაგას რად მკითხავ, უწმინდესო?

ქრისტიანთმთავარი. იმად, რომ მეკერპეთგან ატეხილი შფოთი საკვირველი არ არის ჩემთვის.

ხუცესი. ქვა გიდევს გულში. გაყინულია შენს ძარღვებში სისხლი!

ქრისტიანთმთავარი. გულისთქმას ნუ აჰყვები. არ დაგავიწყდეს — უწმინდესის წინაშე დგეხარ. სად არიან ყრმანი?

ხუცესი. ძმობილ ქრისტიან ყრმათა მშობლებთან.

ქრისტიანთმთავარი. ყრმანი ნწუხრის ლოცვისთვის იხმე ჩემთან.

ხუცესი. რა განგიზრახავს, უწმინდესო?

ქრისტიანთმთავარი. ყრმანი აქ მომგვარე!

ხუცესი. ვერ ვიქმ მაგას!

ქრისტიანთმთავარი. თუ გსურს ყრმათ სიცოცხლე შევუნარჩუნო, დაჰყევ ჩემს ნებას.

ხუცესი. მეკერპე მშობელთა რისხვა იმსხვერპლებს ყრმათ.

ქრისტიანთმთავარი. არ გასწირავს მშობელი შობილს. აქ თუ გასწირა, იქ ყოველი სულიერის მშობელი — ღმერთი იხსნის.

ხუცესი. რა აზრი ჰქონდა მათ მირონცხებას.

ქრისტიანთმთავარი. გაეცი ყრმანი და მირონის მადლს დაინახავთ ცალკერძ შენ და ცალკერძ — უტყვი კერპები.

ხუცესი. თუ უარჰყვეს მირონი? თუ ვერ გაუძლეს მშობელთა რისხვას და კვლავ შეუდგნენ კერპებს?

ქრისტიანთმთავარი. მაშინ შენ მიგცემ ანათემას, რადგან მირონის ძალა არ ისინჯება, მირონმცხებლის სიწმინდე კი მირონცხებულთა სიმტკიცით განიზომება.

ყრმანი მომგვარე. სოფელი უნდა განვარიდოთ ომსა და შფოთს. თუ წმინდანობა ერგოთ ბედად კოლაელ ყრმათ, უცილობლად უნდა განვლონ წამების გზაც. მე მწამს, ღმერთი მათან არის და მან უკეთ იცის, საით წარმართოს მათი ბედი. ვქმნათ ყოველივე, რომ ყრმანი იშვილოს ზეცამ და ამა სოფელს, მეძავად ქმნილს, საყვარლად მხოლოდ ერთი ღმერთი მისცეს. პასუხად გეტყვი: რადგან მთავრობა მე მერგო წილად, ჩემს ცრემლს მხოლოდ ღმერთი ნახავს, ჩემს გულს მხოლოდ ლოცვა დაალბობს და ძარღვებში სისხლი მხოლოდ ზეცის ბრძანების აღსრულების ჟამს იმოძრავებს.

ხუცესი. ღმერთო, მე რად მხადე შენსკენ მომავალ ყრმათა მეეზურად! *(გადის)*

*ქრისტიანთმთავარი ერთხანს მარტოა.*

ქრისტიანთმთავარი. ვისაც რა არგუნა წილად ბედმა, ის უნდა ჰქმნას!

*შემოდის ბოგანო ბრძენი.*

ბოგანო ბრძენი. ამჯერად მეკერპეთ ნების აღმსრულებლად მოგევლინე: ყრმანი უკანვე უნდა მივაქციო, მომავლისგან კვლავ წარსულისკენ წარვიტაცო, დასაბამი მივცე მათ წმინდანობას უკუნითი უკუნისამდე. ამინ, როგორც შენ იტყვი ხოლმე.

ქრისტიანთმთავარი. ბოგანო ბრძენმა, ჭეშმარიტების პირუთვნელად მღაღადებელმა, სხვისი ნების აღსრულება როგორ იკადრე?

ბოგანო ბრძენი. ჩემი განკითხვის ჟამი ჯერ არ მოსულა, ნუ ჩქარობ და ნურც მე მაჩქარებ.

ქრისტიანთმთავარი. იქ რა ხდება, მეკერპეთ მხარეს?

ბოგანო ბრძენი. ღადარზე ცეცხლი გაღვივდა. დაუნდობელნი იქნებიან მეკერპენი. მძვინვარებს მშობელთა ბრბო, რაიც ყრმათ სიჯიუტის უტყუარი საწინდარია.

*შემოდის ხუცესი.*

ხუცესი. ქრისტიან ყრმათა მშობელნი ეკლესიაში შეკრებილან, არ სურთ გასცენ მირონცხებული მეკერპე ყრმანი და შენ გელიან, უწმინდესო, რჩევასა და განაჩენს გთხოვენ.

ბოგანო ბრძენი. *(უეცრად მუხლებზე დაეცემა. ქრისტიანთმთავარს)* წადი მრევლთან, ქადაგად დაეც და მწუხრის ჟამს როცა ეკადრება, იმ ზღაპრებით წარიტაცე მლოცველთ გონება. მწუხრს ბინდი მოსდევს, ბინდს — ბნელი ღამე. შენი ქადაგებით ეკლესიაში ტყვექმნილი მრევლი წმინდა ტაძარს ვერ მიატოვებს. აი, ეს ბერი მიმასწავლის ყრმათა სამყოფელს და მირონცხებულთ კვლავ მეკერპე მშობელთ დავუბრუნებთ.

თვითონ განსაჯე: დგანან ერთ მხარეს დედა-მამანი, რჯულსგადამდგარ შვილთ მოსაქცევად აღმდგარნი, და მეორე მხარეს — მშობელნაცვალნი, დარაზმულნი რწმენით ნაშვილებ გერთ დასაცავად.

უსახელოდ არ გასწიროთ ყრმანი, წმინდანობისთვის განმზადებულნი, ვადაზე ადრე ატეხილი ომით და შფოთით. მიეცით მშობელთ. თუ უარჰყვეს ქრისტიანობა, არ ვარგებულან წმინდანებად. თუ დადგნენ მტკიცედ, არ დაჰყვნენ მშობელთ, მზგავსად კერპების არ უარჰყვეს ნაზარეთელიც, მაშინ აღსდექით წმინდა საქმისთვის და საღვთო ომი გამოაცხადეთ, ყრმათაც დაიხსნით და წმინდანობის შარავანდედით მოსილ მოციქულთ, ცხრა ყრმას კოლაელს, ცხრა მხარეს გააგზავნით ცხრაჯერ ცხრა მრევლის მოსაქცევად, ცხრა ეკლესიის აღსაშენებლად და ქრისტეს რჯულზე მათ მომაქცეველ წმინდა მამათა სასახელოდ.

ქრისტიანთმთავარი. *(ხუცესს)* მე ლოცვად მივალ, მრევლთან ვიქნები განთიადამდე, უკადრისი არვინ იკადროს ამ შფოთით სავსე ღამეს. შენ აქ დარჩები და აღასრულებ ამ კაცის ნებას. *(მიდის)*.

ბოგანო ბრძენი. ჟამი არ ითმენს, ხუცესო, გაეცი ყრმანი!

*შორიდან ისმის ყრმათა საგალობელი.*

ხუცესი. სამნი უმრწემესნი — ხევის პირას მცხოვრებ ლუკასთან.
ბოგანო ბრძენი. სამნი საშუალონი?
ხუცესი. სოფლის ბოლოს ,მჭედელ ხვთისოსთან...
ბოგანო ბრძენი. სამნი უფროისნი?
ხუცესი. მეწისქვილე თედორეს სახლში...
ბოგანო ბრძენი. ილოცე მათთვის! (გადის)

IV

*კერპთაყვანისმცემელთა სამლოცველო. მდუმარებს მეკერპეთ კრება. შემოდის მეკერპეთმთავარი.*

მეკერპეთმთავარი. სდუმს ერი, კერპთა ერთგული. მდუმარებენ განრისხებული ღმერთები. დავდუმდები მეც და ჩვენმა დუმილმა ახაროს ქრისტიანნი!

(დუმილი)

უარყვეს ყრმათ ნათლისღება?

პირველი მშობელი. ვერ გატება ყრმანი ვერც შიმშილმა, ვერც ალერსმა და ვერცა გვემამ. კვლავ ჯიუტად იმეორებენ სიტყვას ერთსა და იგივეს.

მეკერპეთმთავარი. კერძოით რას?

პირველი მშობელი. „ჩვენ აწ ქრისტიანნი ვართ და არარაი გვიხმს თქვენგან, განგვიტევენით და წარვიდეთ და ვითამაშოთ და ვიმღეროთ ქრისტიანეთა თანა".

მეხუთე მშობელი. რა ვქნათ, მთავარო, გვირჩიე რამე, დაილია სიმრთელე გულის და დაშთა ფიალა მოთმინების.

მეკერპეთმთავარი. შვილნი თქვენნი არიან, ხელმწიფებაი გაქვთ, უყავით, რაიცა გნებავთ. მე ნურას მკითხავთ და ისე ჰქმენით, რომ არ განრისხდნენ ღმერთები და უფრო დიდი ჭირი არ მოავლინონ ამა სოფელს. აქ დარჩებით, განსჯით და მირ ჩევთ რა ვქნა. გახსოვდეთ: კერძოით გრძნობა მშობლისა აწ კარგავს ძალას. ყრმანი ღმერთებს ეკუთვნიან და ღმერთებს როგორც სურთ, თქვენც ისე გადაწყვიტავთ ყრმათა ბედს.

თქვენს განჩინებას ძალა სჭირდება. ჩემი ბრძანებით ბუკს, ნაღარას და დაფდაფებს ჰკრავენ, ვითარცა ომში, რადგან ომი რწმენისა და ურწმუნობის, მორჩილებისა და ჯანყის, ყველა ომზე უარესია.

დაჰკარით ბუკს!

*მთავარი გადის. ისმის ნაღარა.*

მესამე მშობელი. რატომ სდუმხართ, სთქვით რამე!

*კვლავ დუმილი. შემოგორდება კასრი. კასრიდან ბოგანო ბრძენი ამოძვრება.*

ბოგანო ბრძენი. რას ელოდებით ,მეკერპენო? ალბათ ქრისტიანთ, განთიადისას აქ წყობილად მოსვლას რომ აპირებენ ცეცხლითა და მახვილით! წარიტაცებენ ყრმათ, მათგან მიქცეულთ და თქვენგან მოუქცეველთ!

ვითარც მაცნობეს, ქრისტიანთ მთავარს ქართლის მეფე დახმარებას დაჰპირებია, ქართლის მეფეს კი — ბიზანტიის კეისარი. ვეღარ გაუძლებთ კოლაის შემორჩენილი მეკერპენი ქრისტიანთ ლაშქარს. წარიტაცებენ ყრმათ!

მე ჩემი გითხარით, რაც მიყიდია, ის გავყიდე, არც არა მომგია და არც არა წამიგია რა.

პირველი მშობელი. გვითხარი, რა ვქნათ?

ბოგანო ბრძენი. რაც გინდათ, ჰქმენით. მე დამეხსენით და რადგანაც დანაპირები შეგისრულეთ, ახლა თქვენ ჰქმენით სამსახური და კასრს ფეხი მაგრად ჰკარით!

*კასრს ფეხს ჰკრავენ. კასრი ბრახუნით მიგორავს, ძლიერდება ნაღარა. მოქმედება შემდეგში უნდა განვითარდეს სწრაფად,ის მოხდეს, რაც შემოგვინახა ჟამთაღწერამ როგორც ჭეშმარიტი, მაგრამ სარწმუნოდ მაინც ძნელი ამბავი. კერძოთ ვინ წარმოსთქვამს ამ სიტყვებს, არა აქვს მნიშვნელობა, რადგანაც ბრბო, აღტყინებული შურისძიებითა და ავისმქნელობით, ყოველთვის უსახოა და დაუნდობელი, თუნდაც საკუთარ შვილებთან ჰქონდეს საქმე.*

— რატომ სდუმხართ, რა ვუყოთ ყრმათ?
— შერცხვა ერი კერპთა წინაშე!
— წარიტაცებენ ყრმათ ქრისტიანნი!
— არ გავატანოთ, სჯობს ჩვენვე მოვკლათ, ჩვენივე ხელით!
— განრისხდებიან კერპები!
— ყრმათ ურჩობა ვისა სმენია!
— უნდა ჩავქოლოთ!
— დედისერთა მყავს!
— სჯობს, რომ არ გვყავდეს არც შენა და არცა მე!
— ყრმათ სხვები მიბაძავენ!
— განვდევნოთ!
— ქრისტიანნი შეიფარებენ!
— ვგვემოთ!
— ქრისტიანნი წარიტაცებენ!
— ურჩი შვილი შვილი არ არის!
— ცოცხლად დავტოვოთ — ქრისტიანნი წარიტაცებენ!
— რომც არა ჰქმნან, ურჩი რად გვინდა, მერე ჩვენ ჩაგვქოლავენ!
— სჯობს, ჩვენ ჩავქოლოთ!
— ჩვენივე ხელით!
— ქრისტიანთ რომ არ წარიტაცონ ჩვენი სისხლი და ხორცი!
— უნდა ჩავქოლოთ!
— იქ, იმ ადგილას, სადაც მიიღეს ნათელ-მირონი და უარჰყვეს მამა-პაპანი!
— უნდა ჩავქოლოთ!
— განთიადისას!

*უეცრად შემოდის მთავარი.*

მეკერპეთმთავარი. მადლობა კერპებს განაჩენისთვის! ასე სურს ერს და ერთან კერპნი ერთსულ არიან! უნდა ეწამონ ყრმანი კოლაელნი.

მეხუთე მშობელი. შენ ბრძანე და ჩვენ შევასრულებთ! ქვებით ჩავქოლოთ და განვტვინოთ, რათა სხვანი, არცა ყრმანი და არც მხცოვანნი, არ ჰბაძავდნენ მათ და რჯულს, მამა-პაპათ, მშობელთ თვისთა და ერსა თვისსა არ ჰღალატობდნენ. ვერ დავტოვებთ თავისუფალთ, რადგან წარიტაცებენ ქრისტიანნი.

მეკერპეთმთავარი. რადგან ასე გსურთ, ასე იყოს! მაგრამ იცოდეთ, ამ განაჩენს ჩემი სურვილით არ ვამტკიცებ, რადგან ყრმათ დასჯას უარობს ჩემი გული.

მეხუთე მშობელი. ჩვენ გავწირეთ, მთავარო, და შენც ნუ შეინდობ!

მეკერპეთმთავარი. ალბათ, ასე სურთ ღმერთებს! გარდახდა ჟამი საკმაო, რაც ყრმათ ნათელიღეს. როდის გინდათ ჩაჰქოლოთ ყრმანი?

მეხუთე მშობელი. განთიადისას, თორემ მოგვიხდებიან ქრისტიანნი, წარიტაცებენ ყრმათ და ატყდება ომი და შფოთი. ჩვენს შვილთ სიმშვიდეს ვანაცვალებთ ცოცხალთ რომ ვეღარ იხილავენ, ქრისტიანთ წარსატაცი აღარა დარჩებათ რა. უაზრო ომს აარიდებს თავს მხედარიც და მხედართმთავარიც.

მეკერპეთმთავარი. განთიადისას ქურუმთ უხმეთ წესთა აღსრულებისთვის.

*შემოდის ხუცესი.*

ხუცესი. დაწყევლილი ვარ ქრისტიანი თქვენს კერპებთან რომ დავდგი ფეხი! ყრმანი მაჩვენეთ, ჩემი ყრმანი, ჩემგან მონათლულნი და ჩემგან დაღუპულნი! მეც მაწამეთ მათთან ერთად! მათთან დამტოვეთ ღამე და განთიადისას შთამაგდეთ ხნარცვსა!

მეკერპეთმთავარი. ყრმანი აქ მოიყვანეთ, კარნი ჩარაზეთ, ვინც იმთავითვე დასაღუპად გასწირა ყრმანი, უკანასკნელი ღამეც მანვე უთიოს!

*მეკერპენი სტოვებენ საყდარს. ხუცესი რჩება მარტო, მუხლმოდრეკილი კერპთა წინაშე. შორიდან ისმის ყრმათა გალობა და სულ უფრო ახლოვდება. შემოყავთ ყრმანი. ხუცესს რომ დაინახავენ, გარს შემოერტყმიან. ჩაირაზება საყდრის კარები.*

ყრმანი. მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო!
ხუცესი. ჩემგან მონათლულნო და ჩემგან დაღუპულნო...
ყრმანი. უყივლია მამალსაო,
მზევ, შინ შემოდიო!
ხუცესი. ჟამით შობილნო და ჟამით განწირულნო...
ყრმანი. გათენებულაო,
მზევ, შინ შემოდიო!
ხუცესი. უარმყოფელნო და უარყოფილნო...
ყრმანი. გათენდი, თუ გათენდები,
მზევ, შინ შემოდიო!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუცესი. ყრმანო ასაკით და მჭცოვანნო სიბრძნით...
ყრმანი. გათენებულხართ,
მზევ, შინ შემოდით!
ხუცესი. ნანას გეტყვით ძილისთვისა...
ყრმანი, მზევ, შინ შემოდით!
ხუცესი. თქვენი მოსვენებისთვისა...
ყრმანი, მზევ, შინ შემოდით!
ხუცესი. ვარდმა გაგზარდათ ქებითა...
ყრმანი, მზევ, შინ შემოდით!
ხუცესი. ნარგიზმა ძუძუ გაწოვათ...
ყრმანი, მზევ, შინ შემოდით!
ხუცესი. მას ჰგევხარ ფეროვნებითა...
ყრმანი, მზევ, შინ შემოდით!
ხუცესი. ძილო, რასა ეძინები...
ყრმანი, მზევ, შინ შემოდით!
ხუცესი. ტანსა, ფეხსა არ გაცვიათ...
ყრმანი, მზევ, შინ შემოდით!
ხუცესი. თითისტარო, კვირისტარო...
ყრმანი, მზევ, შინ შემოდით!
ხუცესი. ჩქარა ნუ დაბრუნდებით...
ყრმანი, მზევ, შინ შემოდით!
ხუცესი. *(ცრემლითა და გოდებით)* ჩქარა ნუ დაბრუნდებით,
ჩაქარა ნუ გათენდებით!

*ამ გალობას შორით „იავნანა“ პასუხობს. სადღაც დედები ყრმათ აძინებენ. გალობის ფონზე მიიძინებენ განწირულნი კოლაელნი ყრმანიც. მძინარეთ ნამად დასდის ხუცესის ცრემლი.*

V

*უკაცრიელი ადგილი. განთიადი. ბოგანო ბრძენი, ქრისტიანთმთავარი და მეკერპეთმთავარი, ორივე შავ წამოსასხამებში.*

ბოგანო ბრძენი. განთიადია და სუსხი ორმაგად სწვავს. თქვენ ორთავ საუფლო წამოსასხამი გათბობთ, მე — ბოგანოს შესაფერი ძონძები.

ქრისტიანთმთავარი. აქ რისთვის გვიხმე?

ბოგანო ბრძენი. დანაპირების შესასრულებლად. გახსოვს პირობა?

ქრისტიანთმთავარი. გვთხოვე, რაც გინდა.

ბოგანო ბრძენი. მე წამებას ვერ დავესწრები — საქმე ბევრი მაქვს. ორი მთავარი ვალში ხართ ჩემთან. დღეს ერთიცა და მეორეც ერის წინაშე უნდა წარსდგეთ. შენ—ჟამს ყრმათა წამებისა, შენ—ჟამს საზეიმო პარაკლისისა. მე ესა მნებავს: რასაც ერს ეტყვით, ჯერ მე მითხარით. თქვენთვის ეს ენის ვარჯიში იქნება მხოლოდ. ჩემთვის — დიადი წუთი ცხოვრებისა: ორი მთავარი ჩემს წინაშე წარმოსდგებით, ვითარც შეგირდნი მცირეწლოვანნი. თქვენს სიტყვას რომ ძალა მიეცეს და არ დაგიცდეთ ფეხი გადამწყვეტ წუთს, უმჯობესია წინასწარ ჩემთან წაივარჯიშოთ და გაწვრთნათ ენა. *(მეკერპეთმთავარს)* შენგან დაეიწყოთ.

მეკერპეთმთავარი. *(ქრისტიანთმთავარს)* ვგონებ, მართალს ამბობს. შენ რას იტყვი?

ქრისტიანთმთავარი. ერთხელ ნათქვამის მეორეჯერ გამეორება, უექველია, აადვილებს მრევლთან საუბარს. დაიწყე!

*მეკერპეთმთავარი გადაიძრობს წამოსასხამს. საზეიმო ტანსაცმელი აცვია, ოქროთი ნაქარგი. წინ წარსდგება, თითქოს ერის წინაშე ამბობს სიტყვას.*

მეკერპეთმთავარი. არავინა ვართ დამნაშავე ყრმათა წინაშე...

ბოგანო ბრძენი. *(შეაწყვეტინებს)* ვის გაუგია მთავრის საუბარი ერთან დანაშაულის აღიარებით იწყებოდეს. ჯერ მიმართე ერს!

მეკერპეთმთავარი. *(პაუზის შემდეგ)*
ძმანო და დანო! ერო მეკერპევ და კერპთა ერთგულო...

ბოგანო ბრძენი. ეგრე სჯობს, განაგრძე!

მეკერეთმთავარი. ჟამმა და ქრისტეს მოძალებამ ყრმათა მსაჯულად გვაქცია დღეს. განგვირისხდნენ კერპნი, ურჩობისა, უძლურებისა და განდგომისთვის მსხვერპლი მოგვთხოვეს, მსხვერპლად ყრმანი აირჩიეს და მათი სიცოცხლის საფასურად დაგვისახეს გზა მომავლისა...

ბოგანო ბრძენი. კარგია! ახლა ქრისტიანთ დააბრალე ყოველივე!

მეკერპეთმთავარი. გზა ჭეშმარიტი და უცდომელი, გზა ღმერთებისკენ, ბუნების ძალთა შეერთებისკენ, მარადისობისა და უკვდავებისკენ... *(ბოგანო ბრძენს)* როგორ გადავიდე ქრისტიანთ ბრალდებაზე?

ბოგანო ბრძენი. *(კარნახობს)* მოგვეძალა ქრისტიანობა...

მეკერპეთმთავარი. მოგვეძალა ქრისტიანობა... ნაზარეთელი ცეცხლითა და მახვილით მოდის, სურს დავუტევოთ ჩვენი რჯული, კერპებს განვუდგეთ და კაცი ვიწამოთ ღმერთად. ზოგმა იწამა ეს სიცრუე და განუდგა რჯულს. ამისთვის გვსაჯეს კერპებმა და მსხვერპლი მოგვთხოვეს.
უბედურება მოაქვს ქრისტეს. ჩვენი ვალია წინაალუდგეთ უბედურებას და ურწმუნობას, გავიღოთ მსხვერპლი ამ ბრძოლაში, თუ დრო მოიტანს ,ცეცხლითა და მახვილით დავიცვათ თავი და ერთგულება წინაპართა მონაპოვრისა.
ნუ ჰგოდებენ დედანი, ნუ სწუხან მამანი! მეტი ღვაწლია კერპთა წინაშე ურჩთა მოკვეთა, ვიდრე ურწმუნო ძეთა, გინა ასულთა ნებიერობა.
განეშორონ ამა ადგილს დედანი!
აღმართეთ ქვანი!

ბოგანო ბრძენი. სიმტკიცე აკლია შენს მოწოდებას. ეჭვს ნუ იტოვებ, მოწოდება უფრო ბრძანებას უნდა ჰგავდეს. კიდევ ერთხელ!

*შემოდის აფორიაქებული ხუცესი.*

მეკერპეთმთავარი. *(ემზადება და შემდეგ მტკიცედ)* აღმართეთ ქვანი!

ხუცესი. ჯერ მე ჩამქოლეთ! იქ ,სოფელში, უკვე შეუდგნენ სამზადისს. ქურუმნი მდუმარედ ძირს დაეცნენ ცეცხლის ენებთან. გევედრებით, მე ჩამქოლეთ და მერე ყრმანი!

ბოგანო ბრძენი. უნდა ვიჩქაროთ! *(ხუცესს)* ხუცესო, მეკერპენი ქრისტიანს ვერ განსჯიან. თუ აგრე გსურს წამებულად დარჩე, ახლა შენი მთავრის ჯერია და მას მიმართე, მან გსაჯოს და მან განგადიდოს. *(ქრისტიანთმთავარს)* მრევლი გისმენს, ახლა შენი ჯერია!

ქრისტიანთმთავარი. *(გადაიძრობს მოსასხამს. სრული საზეიმო სამოსით არის მოსილი)*
მართლმორწმუნენო! შვილნო ჩემნო!
აღესრულა უფლისა სიტყვა: მისცეს ძმამან ძმაი სიკვდად და მამან შვილი, და აღდგნენ მამა-დედანი შვილთა მათთა ზედა და მოჰკლვიდნენ მათ“. ეწამენ ყრმანი კოლაელნი.
გველთა და იქედნეთა, ასპიტთა და მხეცთა იციან წყალობაი შვილთაი, ხოლო ამათ ურჯულოთა არა ჰყვეს წყალობაი შვილთა მათთვის.
არ დაივიწყებს ერი მართლმორწმუნე კოლაელ ყრმათა ღვაწლს. ამიერიდან წმინდა ეკლესია მათ წმინდანად შერაცხს. დაე, გვინათებდნენ გზას რწმენისა, ვითარცა ვარსკვლავნი, მანათობელნი ცისა უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

ბოგანო ბრძენი. ამინ! *(მეკერპეთმთავარს)* ხომ ხედავ, რითი გჯობნის ქრისტიანობა იციან, რა თქვან, სად და როდის.

ხუცესი. *(ქრისტიანთმთავარს)* უწმინდესო, შენ მაინც უბრძანე მრევლს, დამკრან ქვა და დაასრულონ წამება ჩემი!

ქრისტიანთმთავარი. ეგ არ გამოვა ბერო. ჟამთააღმწერელ მატიანეში ყველაფერი წინდაწინ არის განწესებული. იქ ადგილი აღარ არის, წმინდანობა შენი ხვედრი არ ყოფილა.

ხუცესი. *(ბოგანო ბრძენს)* ქვეწარმავალო, შენ მაინც მითხარ, საით წავიდე!

ბოგანო ბრძენი. იყავ ერთგული შენი რწმენისა. წადი, იქნებ კიდევ არიან სადმე ყრმანი, უარმყოფელნი, შენის ხელით გასაწირად მომზადებულნი. *(ქრისტიანთმთავარს)* მხოლოდ ერთით ვარ გულნაკლული თქვენს გალობას ვერ მოვისმენ, გალობა კი კარგი იცით ქრისტიანებმა.
კიდევ ერთს გირჩევთ: წამების უმალ შენ წარმართ ყრმათა მშობელნი შეიპყარ და ხალხს განარიდე, ხოლო შენ — ქრისტიან ყრმათა მშობელნი, ისინი, ვინც შეიფარა ყრმანი. უმ-

ჯობესი კი ეს იქნება: ერთად შთააგდეთ ერთნიცა და მეორენიც ერთ დიდ დილეგში, იქნებ მოსრან მძვინვარებით ერთმანეთი და ისევ თქვენთვის აღასრულონ წარსულის უტყუარი და უსმი სიბრძნე: „ნუ ჰგონებთ განმრავლებასა მორწმუნეთა, რაჟამს განმრავლდნენ, არღარა იდებენ თავს უღელსა მონობისა თქვენისა. ამისთვის გძაგდეთ და სდევნიდეთ მათ“.

ქ რ ი ს ტ ი ა ნ თ მ თ ა ვ ა რ ი. გა ხდა ჟამი. დროა წასვლისა და ყოველთა აღსრულებისა.

მ ე კ ე რ პ ე თ მ თ ა ვ ა რ ი. კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, ან ომით, ან მორჩილებით, ან როგორც ორი მათხოვარი. (ბოგანო ბრძენს) ამიერიდან თვალთა ჩემთა აღარ გიხილონ.

ბ ო გ ა ნ ო ბ რ ძ ე ნ ი. ვიდრე შენ თვითონ არ მიხმობ.

ქ რ ი ს ტ ი ა ნ თ მ თ ა ვ ა რ ი. მე ჩემი ქრისტე მწყალობდეს, თქვენ თქვენი ღმერთები, ვისაც რა გწამთ! (მიდის)

მ ე კ ე რ პ ე თ მ თ ა ვ ა რ ი. მე — ჩემი კერპები... (მიდის)

ხ უ ც ე ს ი. შენ რა გწამს, ბოგანო-ბრძენო?

ბ ო გ ა ნ ო ბ რ ძ ე ნ ი. შენ გაგენდობი: როს ყრმობამ ჩემმა განვლო და დამიდგა ჟამი სიჭაბუკის, როგორც წესია ბუნებისა, ასონი ღინღლმა დამიფარა. მახინჯი აბოს რჩევით განსაპარსად აბანოში წაველ. განპარსვის ჟამს ასონი წარვიკვეთე. მას აქეთ ჩემი რწმენა — შურისძიებაა მხოლოდ, ყველასა და ყველაფრის მიმართ.

„სოფელი ესე მეძავ არს და ერთისა სიყვარულისა თანა არა დაადგრების“ (მიდის)

VI

თენდება. ტრიალი მინდორი. მიტოვებულ გუთანთან ორნი მოდიან.

მ ე ო რ ე. აკი გეუბნებოდი, არ დაგვაცდიან მეთქი...

პ ი რ ვ ე ლ ი. ახლა რა ვქნათ?

მ ე ო რ ე. რაღა უნდა ვქნათ... ერთ ადგილას ველარც მოვხნავთ და ველარც დავთესავთ. ღმერთების მტრობამ კაცთა მტრობა გადაგვიწყვიტა.

პ ი რ ვ ე ლ ი. ეს მიწაც საზიაროა და ეს გუთანიც...

მ ე ო რ ე. იყო. ახლა გუთანი უნდა დავმალოთ. სახნისი შენ, საკვეთი — მე, უღელი — შენ, ხელკედი მე...

პ ი რ ვ ე ლ ი. მიწას რა ვუყოთ?

მ ე ო რ ე. გამოუჩნდება პატრონი.

თენდება. სადღაც ძელს ჰკრავენ. ამოძრავდება სოფელი. ზოგი რიტუალისთვის ემზადება, ზოგი სეირის სანახავად წამოსულა. სარბიელს გარშემო ყრმათა გუნდი მოძრაობს. ყველაზე პატარა გუნდს ჩამორჩება, წამით ჩაცუცქდება და მერე ისევ დაეწევა გუნდს.

საგალობელი ძლიერად ჟღერს. ყველაფერი მზად არის წამებისთვის. ფიცარნაგს შუა დიდი ხნარცვი ამოუღიათ. ყრმანი ხნარცვთან დაუყენებიათ. მეკერპე მსახური უმრწემესს ყრმას ზე ასწევს ხნარცვში ჩასაგდებად. ბრბოს გმინვით დედა გამოეყოფა და ყრმას დაებღაუჭება. ორი მეკერპე მშობელს სწვდება განზე გასათრევად. ერთად აირევა გოდება, მუქარა და ტირილი. აღიმართება მეკერპეთა ხელების ტყე.

და უცბად გაიყინება ყველაფერი. მუხლებზე დაჩოქილა ხუცესი. ეს სურათი ფრესკას გვაგონებს, შორეული ან ახლო წარსულის ანარეკლს.

ძლიერად აჟღერებული საგალობელი გვამცნობს

დ ა ს ა ს რ უ ლ ს.

თბილისი, 1980 წელი.

# ქ რ ო ნ ი კ ა

● ერთი თვის განმავლობაში „მეგობრობის“ თეატრის მოწვევით საქართველოში საგასტროლოდ იმყოფებოდნენ მოსკოვის ვახტანგოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობები. ვახტანგოველები ეწვიენ სოხუმს, გაგრას, გუდაუთას, ბიჭვინთას, ბათუმს, ქობულეთს, ბორჯომს, ცხინვალს, რუსთავს და თბილისს. მათ რესპუბლიკის მაყურებელს უჩვენეს მ. ზოშჩენკოს ნაწარმოებების მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ვერაგობა, ფული და სიყვარული“. სპექტაკლი დადგა რუსეთის სფსრ სახ. არტ., რეჟისორმა ვ. შალევიჩმა, რომელიც სპექტაკლში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს. მაყურებელი გაეცნო აგრეთვე რუსეთის სფსრ სახ. არტ. ლ. ცელიკოვსკაიას, მსახიობების მ. ვერტინსკაიას, მ. ვორონცოვის ხელოვნებას.

ვახტანგოველებმა, ტრადიციისამებრ, წარმოდგენა გამართეს სამრეწველო საწარმოებში — დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანასა და თბილისის ფეხსაცმლის გაერთიანება „ისანში“.

● გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში გამართულ რევაზ ნარტყოშვილის ნამუშევართა პირველ პერსონალურ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხეზე ნაკვეთი სამოცდაათამდე ბარელიეფური პანო და მრგვალი ქანდაკება.

საქართველოში ხეზე კვეთის, როგორც ხელოვნების დარგის, პროფესიულ დონეზე განვითარება ბოლო 15-20 წელს მოიცავს. რევაზ ნარტყოშვილმა 1966 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ხის მხატვრული დამუშავების სპეციალობით, — ეს იყო ახალგახსნილი ფაკულტეტის რიგით მეორე გამოშვება. ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა მოქანდაკემ, პირველყოვლისა, შუა საუკუნეებისა და ხეზე კვეთის თანამედროვე ქართულ ხალხურ ხელოვნებას მიმართა. სწორედ ამ ეროვნულ ფესვზე შემოქმედებითად დაყრდნობით შექმნა მან თავისი მრავალფეროვანი კომპოზიციები — ხის ბარელიეფები და ქანდაკებები.

მოქანდაკის ნამუშევრების დეკორატიულ გამომსახველობას, ხშირად, საფუძვლად უდევს სიმბოლიკა, ზოგადი თემა. ზოგიერთ დიდი ზომის პანოზე წარმოდგენილია ფიგურული გამოსახულებებიც (სიბრტყობრივი და ბარელიეფური) და ორნამენტული მოტივებიც, დეკორი გვხვდება როგორც თვით ფიგურაზე, ისე ფონზე და კონტურის შემომზღუდველ არშიაშიც.

რევაზ ნარტყოშვილის დეკორატიული ნიჭი გამოვლინდა საზოგადოებრივ ნაგებობათა ინტერიერების გაფორმებაშიც. გამომსახველია დეკორატიული სტელა „ბერიკაობა“ „მსახიობის სახლში“.

რ. ნარტყოშვილი    მხვნელი

